დანართი N1

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

2024-2027

სარჩევი

შესავალი 3

დოკუმენტის არსი და მოქმედების ვადა....3

დოკუმენტის შემუშავების პროცესი.... 3

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.... 4

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან.... 5

საჯარო კონსულტაციები....5

დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა....6

სიტუაციის ანალიზი 7

ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა....7

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა....15

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.... 23

ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.... 30

განათლება, კულტურა და სპორტი.... 38

გარემოს დაცვა....46

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა....48

SWOT ანალიზი.... 52

ხედვა, მიზნები და ამოცანები 54

ხედვა.... 54

ლოგიკური ჩარჩო....56

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 62

განხორციელება.... 62

მონიტორინგი და შეფასება.... 65

შესავალი

დოკუმენტის არსი და მოქმედების ვადა

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (შემდგომში „სტრატეგიის დოკუმენტი“) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი ხელს შეუწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; მუნიციპალური ფინანსების, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მუნიციპალიტეტის განვითარებაში ადგილობრივი ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას, მუნიციპალიტეტის განვითარებაზე მიმართული სახელმწიფო რესურსების პრიორიტეტიზაციას, სახელმწიფო უწყებების და რეგიონის მუნიციპალიტეტების აქტივობების ჰარმონიზაციას.

სტრატეგიის დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი მთავარი მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის) ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

დოკუმენტის შემუშავების პროცესი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 თებერვლის N264 განკარგულების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამის მხარდაჭერით.

სტრატეგიის დოკუმენტი მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს წარმოადგენს. მისი შემუშავების ინიციატორია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, რომლის 06.02.2023 წლის N№132.1322303719 ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი (დოკუმენტის მონაწილეობითი წესით შემუშავების მექანიზმი). სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი შედგება 16 წევრისაგან, რომელთაგან 9 ქალია. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფდნენ

ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობასა და მასში დასახლებების ინტერესების ასახვას.

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

დუშეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით[1], ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს[2].

ამავე კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, მათ საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას[3]. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს[4].

მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე, ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიაში[5].

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან

დუშეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის მიზნები და ამოცანები კავშირშია „საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030"-ის მიზნებსა და ამოცანებთან. მათ შორისაა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი ინვესტიციების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ქსელის განვითარება, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

სტრატეგიის დოკუმენტი, ასევე, კავშირშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებთან და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიღებულ შემდეგ დოკუმენტებთან:

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[2] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი.
[3] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტი.
[4] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტი.
[5] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება.

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 - „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია

წინამდებარე დოკუმენტი იყენებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გასულ წლებში მიღებულ სოცილაურ-ეკონომიკური განვითარების დოკუმენტებს და ის გამოყენებული იქნება დუშეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი წლების ბიუჯეტის მოსამზადებლად. ამ დოკუმენტს დაეფუძნება დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარების სხვადასხვა სტრატეგია, პროგრამა და გეგმა.

საჯარო კონსულტაციები

სტრატეგიის დოკუმენტის საჯარო განხილვების დაწყება-დასრულების თაობაზე, ინფორმაცია გავრცელდა:

- მუნიციპალიტეტისა ოფიციალური ვებგვერდით - www.dusheti.gov.ge
- სოციალური ქსელებით

დოკუმენტის ეფექტიანად, გამჭვირვალედ და ინკლუზიურად შემუშავების მიზნით დოკუმენტის მომზადების პროცესში ჩართული იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ქალები, ახალგაზრდები, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თემატური საბჭოების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები. მათი მოსაზრებები და შეხედულებები გათვალისწინებული იქნა დოკუმენტის შემუშავებისას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებათა ინტერესების დოკუმენტში სათანადოდ ასახვისთვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ მერის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვა უწყებების წარმომადგენლებიც.

დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიის დოკუმენტის პირველ თავში განმარტებულია დოკუმენტის არსი და მოქმედების ვადა, ასევე, შემუშავების პროცესი. ამავე თავში მიმოხილულია სამართლებრივი ჩარჩო,დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნული თუ მუნიციპალური

პოლიტიკის დოკუმენტებთან. აქვე, მოცემულია ინფორმაცია გამართული საჯარო კონსულტაციების შესახებ.

სტრატეგიის დოკუმენტის მეორე თავი არსებული მდგომარეობის მიმოხილვას ეთმობა. აღნიშნული თავი აღწერს ბოლო 5-10 წლის განმავლობაში დუშეთის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ ტენდეციებსა და გამოწვევებს, რომელიც ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. ამასთან, ის აანალიზებს მუნიციპალიტეტის პოტენციალს რესურსების მხრივ, მის კონკრეტულ უპირატესობებსა და შესაძლებლობებს.

მესამე თავი დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს ეხება. ამასთან, წარმოდგენილია გავლენისა და ამოცანის შედეგების ინდიკატორები.

მეოთხე თავში საუბარია დოკუმენტის განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. კერძოდ, განმარტებულია განხორციელების მექანიზმი - სამუშაო ჯგუფი და წევრები, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო, მონიტორინგის ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა, მონიტორინგის კოორდინაცია, შეფასების პერიოდულობა და მაკოორდინირებელი უწყება, დოკუმენტის (სამოქმედო გეგმის) განხორციელების პერიოდულობა.

დოკუმენტის მე-5და მე-6 თავები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და სამოქმედო გეგმას ეხება. ეს უკანასკნელი აღწერს იმ ღონისძიებებსა და რესურსებს, რაც დუშეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევადაა საჭირო.

სიტუაციის ანალიზი

ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

მდებარეობა. დუშეთის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარეობს. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 2981.5 კმ^2. ფართობის მიხედვით ის აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი, ხოლო ქვეყნის მასშტაბით სიდიდით მეორე მუნიციპალიტეტია. დუშეთის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – თიანეთის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – რუსეთის ფედერაციის მიერ დროებით ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით მცხეთის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება. მანძილი ქალაქ დუშეთსა და დედაქალაქს შორის 54 კმ-ია. ქალაქ დუშეთიდან უახლოეს აეროპორტამდე (თბილისის საერთაშორისო აეროპორტი) 70 კმ-ია, უახლოეს მცირე ზომის ნატახტრის აეროდრომამდე - 25 კმ., ხოლო რკინიგზის უახლოეს სადგურამდე (ქ. მცხეთა) - 30 კმ.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დუშეთს, როგორც დასახლებას, 20 საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. დუშეთის ხელშესახები ქალაქგეგმარებითი ისტორია კი XIX საუკუნეში იწყება. სწორედ XIX საუკუნეში დაედო ერისთავების დროინდელ გვიანი შუა საუკუნეების ქალაქს რეგულარული ქუჩათა ქსელი, რომელიც დუშეთის ურბანული სტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს.[6]

[6] თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS), "ქ. დუშეთის საბაზო გეგმა", 2016 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 4 მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს (ფშავს, ხევსურეთს, მთიულეთს, გუდამაყარს) და მთისწინეთს (ბაზალეთის პლატო, დუშეთის ქვაბული, შიდა ქართლის ვაკე). ტერიტორიის დიდი ნაწილი კავკასიონის საშუალო და მაღალი მთებითაა წარმოდგენილი. მუნიციპალიტეტის სამხრეთი ნაწილი შედარებით დაბალი სიმაღლეებით გამოირჩევა. საერთო ჯამში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჰიფსომეტრიული სიმაღლე ზღვის დონიდან 550-4000 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

სიმაღლეთა ასეთი სხვაობის გამო, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა ჰავაა ჩამოყალიბებული. შედარებით დაბალ ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ზამთარი ზომიერად ცივი, ხოლო ზაფხული თბილი და ხანგრძლივი იცის. სიმაღლესთან ერთად ჰავა მკაცრდება. მაღალ ზონაში მაღალი მთის ნოტიო ჰავაა ჩამოყალიბებული, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით, ნალექების რაოდენობა 1200-1600 მმ-ს აღწევს.



კლიმატი. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში და ახასიათებს სიმაღლებრივი ზონალურობა. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა ჰავაა ჩამოყალიბებული. დაბალ ნაწილში ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ხოლო 3300-3400 მ ზემოთ – მაღალი მთის ჰავა მარადიული თოვლითა და მყინვარებით. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა დაბალ ნაწილში – 30°C -მდე ეცემა, მაღალმთიან ზონაში - 40°C -მდე. მაქსიმალური ტემპერატურებია, შესაბამისად 39°C და 17°C. დაბალ ზონაში ნალექი წელიწადში 700 მმ მოდის, 1700 მმ-ზე მეტი ნალექი მთიულეთის არაგვის ზემოთ, 800-1500 მმ – მდინარეების ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის ზემოთ. 800-1500 მმ – მდინარეების ფშავის, არაგვისა და ხევსურეთის არაგვის აუზებში. თოვლის საბურველის სიმაღლე დაბალ ზონაში უმნიშვნელოა, მაღალმთიან ნაწილში კი ცალკეულ წლებში 3,5 მეტრს აღწევს.

წიაღისეული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: კირქვა, ე.წ. როშკის მოსაპირკეთებელი ქვა, სამშენებლო ქვა-ხრეში, ფერადი ქვის საბადო და სხვა. აღნიშნული საბადოების ექსპლუატაცია მოითხოვს ინვესტირებასა და ინფრასტრუქტურულ განვითარებას. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყლებიდან აღსანიშნავია: „ვაჟას წყარო“, ფასანაურის, კიტოხის, ღულის, კახმატის, ხახაბოს, შატილის ნადიბაანთ ვეძას და ჩირიკის წყლები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად ლიცენზიები გაცემულია ქვა-ხრეშის, სამეწარმეო დანიშნულებით მიწისქვეშა მტკნარი წყლის, მინერლური და სასმელი წყლის, კირქვის, თიხის, ტრავერტინის და ანდეზიტო-ბაზალტის მოპოვებაზე. მოპოვებით სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს შემდეგ კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე: ფასანაური (ქვა-ხრეში,კირქვა), ბაზალეთის ტბა (მიწისქვეშა მტკნარი წყლი), ვაჟას წყარო (ნახშირმჟავა გაზის მოპოვება), ანანური (ქვა-ხრეში, კირქვა, მიწისქვეშა მტკნარი წყლი), თვალივი (ქვა-ხრეში), ბარისახო

(ქვა-ხრეში), ქვეშეთი (ქვა-ხრეში, მინერალური წყალი). სალიცენზიო სამუშაოები განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს ანანურის ტერიტორიაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია შემდეგი **ლანდშაფტები**: ჭალები უმეტესად ტუგაის მცენარეულითა და ალუვიური ნიადაგებით, გაუვალი მდინარისპირეთი უღრანი ტყეებით; მთისწინეთი ჯაგრცხილნარ-მუხნარით; პლატოსებური მაღლობი ჯაგეკლიანებით და ჯაგრცხინლარი მუხნარით; დაბალი მთები მუხნარითა და რცხილნარით; საშუალო მთები წიფლის ტყეებით, ზომიერად ნოტიო ჰავიანი, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; საშუალო მთები ფიჭვნარითა და არყნარით; სუბალპური ტყე-მდელოები (სათიბები); ალპური მდელოები მთის მდელო ნადაგებით; სუბნივალური ლანდშაფტები; ნივალური ლანდშაფტების ფრაგმენტები.

ჰიდროგრაფიული ქსელი ფართოა და წარმოდგენილია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მიწისქვეშა წყლებით. არის როგორც მთის, ისე მთისწინეთისა და ბარის მდინარეები. ტერიტორიაზე გაფანტულია 30-მდე ტბა, რომელთა უმეტესობა მცირე ფართობისაა. დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტბებიდან ყველაზე დიდია ზღვის დონიდან 875,5 მ. სიმაღლეზე მდებარე ბაზალეთის ტბა, რომლის წყლის სარკის ზედაპირის ფართობი 1,24 კმ2 შეადგენს. ჟინვალის წყალსაცავის სარკის ფართობია 11,5 მილიონ კვ.მ.-ია, მოცულობა 520 მლნ. მ^3. მთავარ სამდინარო ქსელს ქმნის ოთხი არაგვი (მთიულეთ-გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის), რომელთაგან უმთავრესია მთიულეთის არაგვი. აღსანიშნავია, ასევე, მთავარი ქედის ჩრდილო კალთის მდინარეები: არღუნი და ასა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული მინერალური წყლები გამოირჩევა ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. მათი უმრავლესობის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა განვითარდეს როგორც დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ადგილები, ისე აშენდეს წყლის ჩამოსასხმელი საწარმოები.

წყალუხვი მთის მდინარეები ქმნის ელექტროენერგიის წარმოების შესაძლებლობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები: ჟინვალჰესი, ბოდორნაჰესი, შატილის მიკროჰესი, მუცოს მიკროჰესი, როშკის 4 მიკროჰესი და ბარისახოს (ოხერხევის) მიკროჰესი. მშენებლობის პროცესშია ოხერხევის მეორე მიკრო ჰესი. აღნიშნული ჰესების სიმძლავრე ჯამურად 140,215 მგვტ შეადგენს. მუნიციპალიტეტში ენერგიის გამომუშავების სიმძლავრის მიხედვით ყველაზე დიდ ჰიდროელექტროსადგურია ,,ჟინვალჰესი", რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 130 მგვტ-ს. მისი საშუალო წლიური გამომუშავება - 365 მლნ კვტ.სთ-ია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი წარმოადგენს სტრატეგიულ წყალსამეურნეო ობიექტს. ის სასმელი წყლით ამარაგებს საქართველოს დედაქალაქს, თბილისს და სხვა დასახლებებს.

მუნიციპალიტეტის დასახლებები. დუშეთის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი თემია. ის ერთ ქალაქს (ქ. დუშეთი), ორ დაბასა (ჟინვალი, ფასანური) და 288 სოფელს აერთიანებს. მართვის ოპტიმიზაციისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად[7].

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი დუშეთი, მდებარეობს დუშეთის ქვაბულში, განლაგებულია მდინარე დუშეთისხევის ორივე ნაპირზე. ზღვის დონიდან 870 მ სიმაღლეზე. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, დუშეთის მუნიციპალიტეტი

[7] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N28 დადგნილება "დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამტკიცების თაობაზე".

პირველ ადგილზეა როგორც ფართობის, ასევე, დასახლებების საერთო რაოდენობის, მათ შორის, ქალაქის ტიპის დასახლებების მიხედვით.

ქალაქის არსებული განაშენიანების შუაში ჩამოედინება მდინარე დუშეთისხევი. ქუჩათა ქსელი და ურბანული განაშენიანება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით არის განვითარებული. მას დასახლების შუაში ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ორწყაროსხევი უერთდება. მდ. დუშეთისხევის მიმართ ორივე ნაპირის რელიეფი დახრილია. ქალაქის სტრუქტურა ისტორიულად ძირითადად ჩამოყალიბებულია მდინარის მარცხენა მხარეს, სადაც ურთიერთპარალელურად და მართობულად განლაგებულია ქუჩებისა და გზების ქსელი. ქალაქის ამ ნაწილში განაშენიანება უფრო მეტად ინტენსიურია და მოსახლობის სიმჭიდროვე მეტია. მდ. დუშეთისხევის მარჯვენა მხარეს (ისტორიულად დუშეთის მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე) განაშენიანება ნაკლებ ინტენსიურია, ნაკლებად მოგვარებულია საინჟინრო და ინფრასტრუქტურის საკითხებიც. ქალაქში განაშენიანება უმეტესად ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობებისაგან შედგება, თუმცა განაშენიანების ნაწილი შეტყუპებული და შეჯგუფებული სახისაა. საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობათა უმრავლესობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებია. მრავალბინიანი სახლები იშვიათია და მათი ძირითადი ნაწილი საბჭოთა პერიოდშია აგებული.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლების უმრავლესობა მოსახლეობის სიმცირით და დაბალი სიმჭიდროვით ხასიათდება. სოფლების საერთო რაოდენობის თითქმის 70%-ში 50-ი ან ნაკლები ამომრჩეველია რეგისტრირებული. სოფლების 28%-ში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 10-ი ან ნაკლებია. მოსახლეობის რიცხოვნობის უკეთესი მაჩვენებლებით გამოირჩევა სოფლები: ბიჩნიგაურები, ქვემო არანისი, ჩინთი, ანანური, ცივწყარო, ციხისძირი, ბაზალეთი, მლაშე, საკრამული, აბანოსხევი, მაღაროსკარი, მჭადიჯვარი, ოძისი, ჭილურტი, ქვეშეთი, არახვეთი, ჭართალი, არაგვისპირი, ჭოპორტი, ბულაჩაური, წითელსოფელი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 280 დასახლებას, მათ შორის, 2 დაბასა და 278 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი[8]. სოფლების უმეტესი ნაწილი ადმინისტრაციული ცენტრიდან მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული. რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ცალკეულ დასახლებებთან საავტომობილო მიმოსვლა ხშირად ფერხდება. მაღალმთიანი დასახლებების ნაწილი (პირიქითა ხევსურეთის სოფლები) კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზეა განფენილი და მათთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მოძრაობა ზამთრის დადგომასთან ერთად წყდება.

მუნიციპალიტეტის 11 დასახლებას მინიჭებული აქვს კურორტის ან საკურორტო ადგილის სტატუსი. მათი სავარაუდო სამედიცინო პროფილი არის პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და/ან ართროლოგიური. 6 მათგანში მოიპოვება ნახშირმჟავის ტიპის მინერალური წყალი. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული სამთო-სათხილამურო კურორტი გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ნაწილი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარეობს[9] დუშეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები: ანანური, ბაზალეთი, ჭართალი, ჭონქაძე, გრემისხევი,

[8] "მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბერის №671 დადგენილება

[9] ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან დაშორებულია არაუმეტეს 10 კილომეტრით

გუდამაყარი, ქვეშეთი, მჭადიჯვარი და ფასანაური. ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის ესკალაციის დროს განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო შექმნილი რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის მოსაზღვრე მჭადიჯვრისა და გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეულების 17 სოფელში. ისინი უსაფრთხოების და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დამატებითი გამოწვევების წინაშე დგას დღესაც.

მუნიციპალიტეტში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა[10] შემუშავებული და დამტკიცებულია მხოლოდ ქალაქ დუშეთისათვის. ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა ქ. დუშეთის ქალაქ-გეგმარების დოკუმენტების განახლების მიზნით, ასევე, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის, ჭოპორტის და ახატნის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების, ფასანაურის, ბარისახოს და როშკის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მიზნით.

დემოგრაფია. დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 26,7 ათასი ადამიანია, საიდანაც 10.6 ათასი (39.7%) ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებებში, 16.1 ათასი (60.3%) კი - სოფლად. 2022 წლის პირველი იანვრისათვის დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა გაზრდილია 2.3%-ით. ბოლო ხუთი წლის მაჩვენებელთან (8.8 კაცი/კვ.კმ-ზე) შედარებით, ასევე, გაზრდილია მოსახლეობის სიმჭიდროვეც და 2023 წლის პირველი იანვრისათვის ის 9 კაცს შეადგენს 1კვ.მ.-ზე.

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდის პოზიტიური ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა კლების ხანგრძლივი ტენდენციის ფონზე. 1994 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 41.1 ათასიდან 26.1 ათასამდე შემცირდა, თუმცა 2016 წლიდან შეინიშნება მოსახლეობის მცირე რაოდენობით ზრდა. კლება უმეტესად შიდა და გარე მიგრაციით იყო გამოწვეული, შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინების ხარჯზე, რაცძირითადად ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული (მძიმე და დაბალშემოსავლიანი ტრადიციული ხელით შრომა, სამუშაო ადგილების უკმარისობა, დაბალი ანაზღაურება, საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმე და ა.შ.) კლების მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდი იყო მაღალმთიან ტერიტორიაზე. ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე დეპოპულაციამ არაერთი დასახლება დააყენა დაცლის და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე.

დიაგრამა N1: დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა 2015-2023 წლებში (ათასი კაცი)[11]



[10] დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 მაისის N13 დადგენილება ქალაქ დუშეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ
[11] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის მედიანური ასაკი 43 წელია, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 21.3%-ია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი კი (15+ ასაკი) 78%-ს შეადგენს.

ცხრილი N1: მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტში (2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით)[12]

	სულ			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
სულ	**25,659**	**12,785**	**12,874**	**9,143**	**4,402**	**4,741**	**16,516**	**8,383**	**8,133**
0-4	1,419	729	690	581	293	288	838	436	402
5-9	1,359	717	642	542	269	273	817	448	369
10-14	1,323	708	615	549	304	245	774	404	370
15-19	1,498	816	682	592	304	288	906	512	394
20-24	1,573	866	707	606	308	298	967	558	409
25-29	1,538	837	701	625	322	303	913	515	398
30-34	1,415	761	654	573	288	285	842	473	369
35-39	1,591	825	766	616	297	319	975	528	447
40-44	1,695	891	804	584	294	290	1,111	597	514
45-49	1,708	948	760	616	326	290	1,092	622	470
50-54	1,813	963	850	618	310	308	1,195	653	542
55-59	1,679	808	871	539	241	298	1,140	567	573
60-64	1,581	734	847	543	249	294	1,038	485	553
65-69	1,297	571	726	399	182	217	898	389	509
70-74	1,370	573	797	375	141	234	995	432	563
75-79	1,477	562	915	415	150	265	1,062	412	650
80-84	833	327	506	226	75	151	607	252	355
85+	490	149	341	144	49	95	346	100	246

მედიანური ასაკი დუშეთის მუნიციპალიტეტში მაღალია, როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ისე ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ეს მაჩვენებელი დუშეთის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მაღალია ქალებში და ფაქტობრივად არის შობადობის ასაკის ზღვარზე.

ცხრილი N2: მოსახლეობის მედიანური ასაკი (2014 წლის მონაცემებით)[13]

	ორივე სქესი	კაცი	ქალი
მედიანური ასაკი დუშეთის მუნიციპალიტეტში	43	40	46
მედიანური ასაკი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	39	37	42
მედიანური ასაკი საქართველოში	37	34	40

[12] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[13] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა N2: ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტში[14]



მოსახლეობის სიმჭიდროვე დუშეთის მუნიციპალიტეტში დაბალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის და ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 9 ადამიანს შეადგენს 1კვ.კმ.-ზე. ამასთან, ქალაქ დუშეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე 521 ადამიანია 1კვ.კმ.-ზე.

ცხრილი N3: მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე[15]

	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე დუშეთის მუნიციპალიტეტში	8.8	8.8	8.8	8.8	8.8	9.0
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	16.7	16.7	16.7	16.7	16.5	16.6
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე საქართველოში	65.2	65.1	65.0	65.2	64.5	65.3

მოსახლეობის რაოდენობით დუშეთის მუნიციპალიტეტი სიდიდით მეორე მუნიციპალიტეტია რეგიონში, მცხეთის შემდეგ. დუშეთში რეგიონის მოსახლეობის 28.6% ცხოვრობს. დუშეთის მუნიციპალიტეტს რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მეტი ურბანული მოსახლეობა ყავს. ქ. დუშეთი მოსახლეობით რეგიონის მეორე ქალაქია მცხეთის შემდეგ.

ცხრილი N4: მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა, 2023 წელი[16]

მუნიციპალიტეტი	**მოსახლეობა სულ, ათასი**	**ურბანული მოსახლეობა**	**ურბანილი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში, %**
დუშეთის მუნიციპალიტეტი	26,7	10,8	39,8
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3,8	1,5	38,6
თიანეთის მუნიციპალიტეტი	10,2	3,4	33,1
მცხეთის მუნიციპალიტეტი	52,2	7,5	14,3

[14] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[15] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[16] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ურთიერთობები. დუშეთის მუნიციპალიტეტს მოქმედი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ლიეტუვის რესპუბლიკის შაკიაის და პრიენაის მუნიციპალიტეტებთან, ლატვიის რესპუბლიკის ადაჟის მუნიციპალიტეტთან და უკრაინის სლობოჟანკას მუნიციპალიტეტთან. პარტნიორ ქალაქებთან თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: კულტურა, განათლება და სპორტი, ბიზნესი და ტურიზმი, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, საერთაშორისო ინიციატივებსა და საინვესტიციო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა და გამოცდილების გაცვლა.

2013 წლიდან ქ. დუშეთი არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინიციატივით შექმნილი ისტორიული ქალაქების ქსელის წევრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისტორიული ურბანული სივრცეების განვითარებისთვის დემოკრატიული მმართველობის ინსტრუმენტების შექმნას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, თანამონაწილეობითი დაგეგმვისა და ურბანულ მართვის ცოდნების შეძენას, და იმ სხვა პროცესებს, რაც ხელს შეუწყობს მათ მდგრად სოციალურ და ეკონომიკურგანვითარებას.

2018 წლიდან მუნიციპალიტეტი ჩართულია ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG), რომლის ფარგლებშიც მოამზადა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. 2022 წლიდან დუშეთი არის ევროკავშირის ინიციატივის მერების შეთანხმების წევრი და მას ვალდებულება აქვს აღებული 30%-ით შეამციროს CO2 თავის ტერიტორიაზე, რისთვისაც 2023 წლის ბოლომდე უნდა მოამზადოს მდგრადი ენერგიის და კლიმატის სამოქმედო გეგმა.

დუშეთის მუნიციპალიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამასთან. პროგრამა ხელს უწყობს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზთან მდებარე თემების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განისაზღვრა. თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა დუშეთის მუნიციპალიტეტს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის შედგენასა და შემდეგ მის განხორციელებაში დაეხმარება. 2023 წლიდან დუშეთის მუნიციპალიტეტი, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობს USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამასთან, რომლის მიზანი პარტნიორ მუნიციპალიტეტებში დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობაა.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში დუშეთის მუნიციპალიტეტი მხარდაჭერას მიიღებს SDC-ის მიერ დაფინანსებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამიდან.

ასევე, დუშეთის მუნიციპალიტეტი ჩართულია მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციასთან დაკავშირებულ პროექტებში. მუნიციპალიტეტს მომზადებული აქვს შესაბამისი გეგმა და მუშაობს მის განხორციელებაზე GIZ-ის მხარდაჭერით.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

არსებული ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, ისტორიულ-ეკონომიკური სამეურნეო პროფილის, თანამედროვე გამოწვევების/შესაძლებლობების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ხელისუფლება რამდენიმე მიმართულებას განიხილავს. მათ

შორისაა: აგრარული სექტორი, ტურიზმი, სამშენებლო მასალების მოპოვება-გადამუშავება, წყლის რესურსების მოპოვება, ინფრასტრუქტურის განვითარება (მათ შორის, სოციალური ინფრასტრუქტურა).

არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მრეწველობა. საქსტატის მონაცემებით ბიზნესის ბრუნვამ 2021 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტში 80.3 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი 4 ჯერ აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მონაცემს. 2021 წლისათვის ბიზნეს სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვება 52 მლნ ლარს შეადგენდა, შრომითი დანახარჯები 7 მლნ ლარს, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 16.5 მლნ ლარს. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მონაცემი წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

დიაგრამა N4: ბიზნეს სექტორის ბრუნვა დუშეთის მუნიციპალიტეტში (მლნ ლარი)[17]



2022 წელს, რეგისტრირებული ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობა დუშეთის მუნიციპალიტეტში (მოსახლეობის 1000 კაცზე) 174.9-ს შეადგენს. იმავე პერიოდში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტთა რაოდენობა (მოსახლეობის 1000 კაცზე) 55.2-ია. 2018-2021 წლების განმავლობაში, ბიზნესისრეგისტრაციის მონაცემებით დუშეთის მუნიციპალიტეტი ჩამორჩებოდა ყაზბეგისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებს, ხოლო 2022 წელს გადაასწრო მცხეთის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლებს. 2018-2022 წლების განმავლობაში დუშეთის მუნიციპალიტეტში იზრდება როგორც ახლად რეგისტრირებული, ისე მოქმედი ბიზნესების რაოდენობა (მოსახლეობის 1000 კაცზე).

დიაგრამა N5: რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა დუშეთის მუნიციპალიტეტში (მოსახლეობის 1000 კაცზე)[18]



[17] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[18] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა და საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებლის მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტი მესამე ადგილს იკავებს მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების შემდეგ.

2022 წლის მონაცემებით, დუშეთის მუნიციპალიტეტში 4938 ბიზნეს-სუბიექტია დარეგისტირებული. წინა წელთან შედარებით, რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა დაახლოებით 800 ერთეულითაა გაზრდილი[19]. მუნიციპალიტეტში ბოლო 5 წლის განმავლობაში იზრდება კერძო უცხოური საკუთრებაში არსებული სუბიექტების რაოდენობა.

ცხრილი N5: რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[20]

საკუთრების ფორმა	2018	2019	2020	2021	2022
სულ	**3 519**	**3 705**	**3 903**	**4 136**	**4 938**
კერძო ადგილობრივი საკუთრება	3 248	3 422	3 610	3 827	4 129
კერძო უცხოური საკუთრება	48	59	64	75	571
სახელმწიფო საკუთრება	73	73	73	73	73
მუნიციპალური საკუთრება	42	41	42	43	43
შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით	12	13	14	18	22
შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით	9	10	13	13	13
სხვა	84	84	84	84	84
გაურკვევლი	3	3	3	3	3

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომების მიხედვით, დუშეთის მუნიციპალიტეტში 2022 წლისათვის სულ რეგისტრირებულია 2 მსხვილი, 8 საშუალო და 1289 მცირე ზომის მოქმედი სუბიექტი, 228 საწარმოს ზომა კი არ არის დადგენილი. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი რაოდენობის სუბიექტი რეგისტრირებულია შემდე სექტორებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება; ტრანსპორტირება და დასაწყობება; განთავსება და საკვების მიწოდება.. 2018-2022 წლებში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 ერთეული ქვის სამტვრევი, ერთი საშუალო და 90 მცირე ზომის სამშენებლო კომპანია.

ცხრილი N6: რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და წლების მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტში (ერთეული)[21]

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება	2018	2019	2020	2021	2022
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	73	73	78	78	78

[19] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[20] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[21] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	16	17	17	17	17
დამამუშავებელი მრეწველობა	152	161	166	173	174
წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინურებისაგან გასუფთავების სამუშაოები	13	12	12	12	12
მშენებლობა	102	118	141	155	165
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	654	702	741	778	776
ტრანსპორტი და დასაწყობება	211	232	244	259	263
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	193	206	212	218	219
ინფორმაცია და კომუნიკაცია	7	8	11	13	166
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	5	6	6	6	7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	21	22	22	23	26
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	39	40	43	46	48
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	41	44	46	49	49
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვა	23	23	23	23	23
განათლება	57	58	58	59	61
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	25	25	25	25	25
ხელოვნება, გართობა. დასვენება	13	16	17	18	22
სხვა სახის მომსახურება	57	60	62	62	64
საქმიანობა უცნობია	1 816	1 880	1 978	2 120	2 743
სულ	**3 518**	**3 703**	**3 902**	**4 134**	**4 938**

მუნიციპალიტეტის ბიზნეს-სექტორი არ გამოირჩევა ეფექტიანობით და მის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ნაკლებია ბიზნეს-სექტორის შუალედურ მოხმარებაზე. დუშეთის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორის პროდუქციის გამოშვების ბიზნეს-სექტორის შრომით დანახარჯებთან თანაფარდობა ნაკლებია ყაზბეგისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებზე.

მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში ოპერირებენ ბიზნეს სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც ჰიდროლოგიური და სხვა არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და გამოყენებას უკავშირდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ჟინვალის ჰიდრო-ტექნიკური კომპლექსი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს დედაქალაქს, ჰიდროელექტროსადგური „ჟინვალჰესი", რომელიც 1984 წლიდან ფუნქციონირებს და „ბოდორნაჰესი" რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2018 წელს. შატილის მიკრო ჰესი ექსპლოატაციაში შევიდა 2021 წელს, ხოლო მუცოს მიკრო ჰესი 2020 წლიდან ფუნქციონირებს. ასევე, ფუნქციონირებს ოხერხევის ერთი და ამჟამად შენდება მეორე მიკროჰესი. სოფელ როშკაში ფუნქციონირებს 4 მიკრო ჰესი. მიკრო ჰესების მშენებლობების მიზნით, მდინარე თეთრ არაგვზე, შავ არაგვსა და არაგვზე სახელმწიფომ ლიცენზიებიგასცა . ასევე, ფუნქციონირებს ინერტული მასალების კარიერები და ქვის სამტეხლოები.

სოფლის მეურნეობა: დუშეთის მუნიციპალიტეტი ფართობის სიდიდესთან ერთად კლიმატის და რელიეფის მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. მთიანი ტერიტორია განთავსებულია ალპურ და სუბალპურ ზონაში. მაღალი ზონის დასახლებებისათვის სოფლის მეურნეობის მიმართულება ძირითადად მეცხოველეობით, მეფუტკრეობით და მეკარტოფილეობით შემოიფარგლება, ხოლო

დაბალი ზონის სოფლებში შედარებით მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობაა განვითარებული და უფრო მეტად მებოსტნეობა-მემინდვრეობაა განვითარებული.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბარის ზონის სოფლებში არსებობს მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარების კარგი პერსპექტივა, ხოლო მთიანი ზონის სოფლებში - მესაქონლეობის, რამდენადაც მთიან სოფლებში არის რიგი ხელშემწყობი პირობები, როგორიცაა: საძოვრების საკმაოდ დიდი ტერიტორია, ალპურ ზონაში სათიბი ნაკვეთები და წყლის რესურსი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მთლიანი ფართობი შეადგენს 136 560.7 ჰექტარს. აქედან, სახნავი მიწების ფართობია 10 715.04 ჰა., მრავალწლიანი ნარგავები შეადგენს 1307.56 ჰექტარს, სათიბი 4 600 ჰექტარს, ხოლო საძოვარი - 119 938.1 ჰექტარს.

ცხრილი N7: მოსავლიანობა დუშეთის მუნიციპალიტეტში, 2022 წელი

კულტურა	დაკავებული ფართობი, ჰა	მიღებული მოსავალი, ტ	მოსავლიანობა 1 ჰა-ზე
მარცვლეული	2141	4 880	2.28
ლობიო	376	451,2	1.2
კარტოფილი	706	14 120	20
ბოსტნეული	840.6	12 552.6	14,93
თესლოვანი და კურკოვანი ხილი	1 189.3	10 114	8.5
ვაზი	49.7	298.2	6,0
კაკალი	51.37	51.54	1,0
ჟოლო	6.23	49.84	8,0
მარწყვი	1.2	6	5,0
მაყვალი	10.17	81.36	8,0

2022 წლის მონაცემებით, დუშეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი მოსავლიანობით გამოირჩვა კარტოფილი (20 ტ ჰექტარზე) და სხვა ბოსტნეული (15 ტ ჰექტარზე).

დუშეთის მუნიციპალიტეტში 2022 წლისთვის სულ აღრიცხულია 13 946 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის, 13 844 ფურია და 102 კამეჩი. მუნიციპალიტეტში დაახლოებით 30 545-მდე ცხვარი, 1454 თხა და 2990 ღორია. რაც შეეხება მეფრინველეობას, 57 743 ფრთა ფრინველია აღრიცხული, რომელთა ძირითადი ნაწილი ქათამია (54 339 ფრთა), 2 572 ფრთა ინდაური, 405 ბატი და 427 სხვა შინაური ფრინველი.

2022 წელს, დუშეთის მუნიციპალიტეტში ფუტკრის ოჯახების რაოდენობაა 7062 სკა, წარმადობა კი - 70.62 ტონა. 2022 წელს, ასევე, აღრიცხული იყო 8 საკალმახე მეურნეობა, წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 2.9 ტონა შეადგინა.

მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში წარმოებული ბოსტნეულიდან მომხმარებლის ფართო სეგმენტისათვის კარგად ნაცნობი და ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტები ე.წ ჭოპორტული პომიდორი დამთიან სოფლებში წარმოებული კარტოფილი, რომელიც, რაოდენობის სიმცირის გამო, ბაზარზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამ შემთხვევაში, მთავარი ხელშემშლელი ფაქტორებია სათანადო ტექნიკის, სელექციური სათესლე მასალის და საჭირო ხარისხიანი

პრეპარატების დეფიციტი. ამასთან, პრობლემაა კვალიფიციური კადრის სიმცირე და თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა.

დაბალი ზონის სოფლებისათვის, თბილისთან სიახლოვის გამო პოტენციურ მიმართულებად ითვლება სასათბურე მეურნეობა. თუმცა, ზამთრის სეზონისთვის ენერგორესურსებზე გაწეული ხარჯების გამო, ეს დარგი კარგავს მიმზიდველობას და მხოლოდ აღრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფუნქციონირებს. რამდენადაც მუნიციპალიტეტის ბარის ზონებში ზამთარი არ გამოირჩევა ძლიერი ყინვითა და უხვი ნალექით, ამასთანავე ზამთრის პერიოდში მზიანი დღეების რაოდენობა საკმარისადაა, შესაძლოა სასათბურე მეურნეობების გათბობის მიზნით გამოყენებული იქნეს მზის ენერგიაზე მომუშავე სისტემები.

მუნიციპალიტეტში არსებობს ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები) წარმოების მნიშვნელოვანი აუთვისებელი რესურსი. სოფელ შარახევში მოქმედი კოოპერატივი „შარახევი1“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვებს ასკილს და ფურისულას და ახდენს მათ გაშრობას. გამშრალი ფურისულა შუამავალი კომპანიის მეშვეობით საექსპორტოდ გადის გერმანიაში, ხოლო ასკილი - აზიაში. შპს „იბერია ფრუიტი“ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვებს ასკილს და ვაშლს, შემდგომ ახდენს მათ გამოშრობას ჩირის სახით და მზა პროდუქციის სახით რეალიზაციას ახდენს საქართველოში. ასევე, აწარმოებს ქაცვისა და ძირტკბილას ფესვების გაშრობას და ნაწარმის ექსპორტს ახორციელებს გერმანიაში. 2021 წელს გატანილი იქნა 200 ტონამდე ნაწარმი. მუნიციპალიტეტში, ასევე, იწარმოება 48 ათასი ლარის მარწყვი, რომელიც შიდა ბაზრებზე იყიდება.

მიწის რესურსის გამოყენების ერთ - ერთ ხელშემშლელ ფაქტორად შეიძლება განხილული იქნას მიწების ფრაგმენტაცია, მათი დანაწევრება მცირე ზომის საკადასტრო ერთეულებად, ასევე,ის, რომ მიწის ფონდი მუდმივ ტრანსფორმაციაში იმყოფება, მიწების ნაწილი გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და გამოიყენება მშენებლობის თუ სხვა დანიშნულებისათვის.

დუშეთის სარეგისტრაციო ზონაში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ 43.7 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განხორციელდა დანიშნულების ცვლილება. ამავე პერიოდში, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ 0.13 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. ამჟამად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართ 654 041.1 კვ.მ.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დუშეთის მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო ზონაში სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულია 66.77 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 77.26 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

სათიბებამდე მისასვლელი გზები არ არსებობს ან საჭიროებს რეაბილიტაციას, შესაბამისად, ვერ ხერხდება ტრანპორტის გამოყენება.

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში მიწის რესურსის გამოყენებას აფერხებს ის გარემოებაც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი ერთგვარ ბუფერულ არეალშია მოქცეული, ტერიტორიის ნაწილი დანაღმულია და ა.შ.

სახნავი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია, რაც ძირითადად როგორც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობით, ასევე დაბალ ზონაში არსებული გაუმართავი საირიგაციო სისტემით და ხარისხიანი სარგავ სათესი მასალების დეფიციტითაა

გამოწვეული. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს, მისი სიძვირის გამო, ხარისხიან პრეპარატებზე ხელმისაწვდომობა

რამდენადაც დუშეთის მუნიციპალიტეტში ჯერ არ დასრულებულა მიწების სისტემური რეგისტრაცია, არ არსებობს მიწის საკადასტრო მონაცემების სრულყოფილი სურათი, რაც, თავის მხრივ, იწვევს სხვადასხვა ხასიათის პრობლემებს. მაგალითად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ფერმერი ვერ იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო პროგრამაში, საკუთრების დადასტურების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სესხის აღება და ა.შ.

პრობლემაა პირველადი პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირეც, არ არის უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება და გადამუშავება. პროდუქციის ნაწილი, განსაკუთრებით ხილის და მეცხოველეობის პროდუქტების სახით, როგორც ნედლეული, გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

მუნიციპალიტეტში არსებული ხეხილი, რომელიც ძირითადად კურკოვან-თესლოვანი ჯიშებით შემოიფარგლება, გადამამუშავებელ წარმოებაში ნაკლებად გამოიყენება, იყიდება მცირე რაოდენობა, მისგან მზადდება ჯემები, კომპოტები და საწებლები, უმეტესად შინა მეურნეობებში, დანარჩენი პირუტყვის საკვებად გამოიყენება.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

აუცილებელია საირიგაციო სისტემის აღდგენა ბარის ზონის სოფლებში, რაც ხელს შეუწყობს უფრო რენტაბელური კულტურების მოყვანას. გასულ წლებში, სახელმწიფოს მიერ განხორციელდა ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში საირიგაციო სისტემის მოწყობა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მებოსტნეობის განვითარებას. ანალოგიური პროექტის განხორციელება აუცილებელია მჭადიჯვრისა და ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. ზემოაღნიშნული დამატებით მნიშვნელობას იძენს მიწის ფრაგმენტაციის არსებული სურათის გათვალისწინებით. მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელისათვის სწორედ მაღალრენტაბელური კულტურების მოყვანა უნდა გახდეს მისი ფერმერული მეურნეობის განვითარების საფუძველი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილი აქტიურადაა დაკავებული მეცხვარეობით. 2023 წლისთვის მუნიციპალიტეტში 19 088 ცხვარია, მათი რაოდენობა 2022-ის შემდეგ 1.12-ჯერ გაიზარდა. ეს დარგი უმთავრესად მომთაბარეობით ხასიათდება. ბოლო პერიოდში ცხვრის რაოდენობის მკვეთრი კლება ზამთრის საძოვრების შემცირებითა და ცხვრის გადასარეკი ტრასების არასათანადო ინფრასტრუქტურითაა განპირობებული.

მუნიციპალიტეტიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის პოტენციალის ზრდისთვის ხელისშემშლელი ფაქტორებია სეზონურობა, საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არქონა, ადგილობრივი პროდუქციის არასაკმარისი ცნობადობა, ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასათანადო სავაჭრო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური

კადრები. ადგილობრივი მეწარმეებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება იმპორტირებული საქონელი.

დუშეთის მუნიციპალიტეტს ემსახურება ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების დუშეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი და სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველო. დუშეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამით ვეტერინარული ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

ტურიზმი. დუშეთის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებით, მდიდარი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობით, უნიკალური ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით, ბუნებრივი ლანდშაფტებით, სამთო და საზაფხულო კურორტებით, დედაქალაქთან სიახლოვით, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ტურიზმის სექტორში მუნიციპალიტეტის მზარდ პოტენციალს განაპირობებს ისეთი ისტორიული ადგილები, როგორებიცაა: ციხე-სოფლები შატილი და მუცო, ანანურის სამონასტრო კომპლექსი, ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთის სოფლებში შემორჩენილი არაერთი კოშკი და საცხოვრებელი კომპლექსი, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და ხელოვანებთან დაკავშირებული ადგილები (ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, მიხა ხელაშვილი, გოდერძი ჩოხელი და ა.შ), ბაზალეთის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებებით განთქმული ტბა, ორი სამკურნალო კურორტი (ფასანური, ჩარგალი), სამთო კურორტი გუდაური (რომლის ნაწილიც დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული) და ა.შ. ტურისტების ინტერესს, ასევე, იწვევს ადგილობრივი ტრადიციული რეწვა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და ტრადიციული სამზარეულო.

ექსტრემალური და საფეხმავლო ტურიზმისთვის შესაფერისი პირობები არსებობს შემდეგ ადგილებში: ჭიუხის მასივი, გუდამაყრისა და მთიულეთის ხეობები, აბუდელაურის ფერადი ტბები, ტანიეს ტბა, არხოტის ხეობა, შატილი-მიღმა ხევი, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები, არაგვის დაცული ლანდშაფტი და ა.შ.

ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორებია არადამაკმაყოფილებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა; არასაკმარისი გასართობი ობიექტები ტურისტულ მარშრუტებზე,ტურისტული რესურსების არასათანადოდ პოპულარიზაცია; ახალი ტურისტული მარშუტების შეუსწავლელობა; საკომუნიკაციო სისტემის არადამაკმაყოფილებელი დონე; გზამკვლევისა და აბრების სიმცირე და სხვა.

2021 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტს 40 ათასი, ხოლო 2022 წელს 50 ათასი ვიზიტორი ესტუმრა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 70-მდე სასტუმრო. მათი უმრავლესობა მცირე ზომის საოჯახო სასტუმროებია.

თბილისთან სიახლოვის და ტურიზმის განვითარების პარალელურად, იზრდება მოთხოვნა და ფასი მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე. მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების განვითარებით დაინტერესებულია რამდენიმე კომპანია. უსისტემო განვითარების თავიდან ასაცილებლად, მიმდინარეობს ქალაქ დუშეთის და მუნიციპალიტეტის ცალკეული არეალების ქალაქმშენებლობის და სივრცითი დაგეგმვის პროცესი.

არსებული პირობების მიუხედავად, დუშეთის მუნიციპალიტეტი დღეს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების პირისპირ დგას , როგორიცაა: უმუშევრობის მაღალი

მაჩვენებელი, მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია, დასაქმებულთა პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის და გამოყენების, პროდუქციის მარკეტინგის დაბალი დონე, ტურიზმის სექტორისათვის კორონა-ვირუსის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები, მუნიციპალიტეტში დასახლებულ დევნილთა ინტეგრაცია და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლის მიმდებარე სოფლების განვითარება, სამეწარმეო უნარების და გამოცდილების ნაკლებობა, ხშირი ბუნებრივი კატასტროფები და სხვ. მუნიციპალიტეტის რთული რელიეფის გამო, ბიზნესის განვითარებისათვის პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები.

ეკონომიკის დარგთან დაკავშირებული ძირათი გამოწვევები

- მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ნაკლებად დივერსიფიცირებულობა
- სამუშაო ძალის დაბალი პროდუქტიულობა
- თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებზე მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და, შესაბამისად, მსგავსი ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება
- ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებისას

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

გზები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ერთადერთ საშუალებას საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის 76 კმ სიგრძის გზის მონაკვეთი, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 158.2 კმ გზა და მუნიციპალური მნიშვნელობის 507.7 კმ. გზა. ურბანულ დასახლებებს შიგნით არსებული გზები შეადგენს 44 კმ-ს; შიდასასოფლო გზები - 910 კმ-ს; საძოვრებამდე და სათიბებამდე მისასვლელი გზები კი 102 კმ-ია. სულ მუნიციპალიტეტის საგზაო ქსელის სიგრძე 1797.9 კილომეტრია, საიდანაც 47% გრუნტის გზაა, მოასფალტებულია არსებული გზების 30%, მოხრეშილია არსებული გზების 23%. მოასფალტებული გზების 47% საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზებია.

ცხრილი N8: დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი გზები

გზის კატეგორია	**სიგრძე, კმ**
საერთაშორისო მნიშვნელობის გზა:	
მ.შ.	
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა	76
შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა:	
მ.შ.	
ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა	106
დუშეთი-მჭადიჯვარი-ოძისი	17.9
ქუბრიანთკარი-ახალციხე-კენჭაკლდე-ხეობა	15
ბაგიჭალა-დუშეთი-არაგვისპირი	19.3

მუნიციპალური მნიშვნელობის გზები:	
მ.შ.	
დასახლებების დამაკავშირებელი გზები	507.7
ურბანულ დასახლებებს შიგნით არსებული გზები	44
შიდასასოფლო გზები	910
საძოვრებამდე და სათიბებამდე მისასვლელი გზები	102
სულ მუნიციპალიტეტის საგზაო ქსელის სიგრძე	1797.9
მ.შ.	
მოასფალტებული გზა	150
მოხრეშილი გზა	119
გრუნტის გზა	238.5

ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მოვლა-პატრონობას ხმარდება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გზების რეაბილიტაციაზე გაწეულმა ხარჯებმა 13 მილიონი ლარი შეადგინა.

საგზაო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ხშირი ბუნებრივი კატასტროფები. მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები პერმანენტულად აზიანებს გზის საფარს, სახიდე გადასასვლელებსა და ნაპირსამაგრ ნაგებობებს.

მუნიციპალიტეტში არსებული გზების ნაწილი გადის უაღრესად რთულ გეოგრაფიულ მარშრუტზე, რომელიც ზამთრის პერიოდში ხასიათდება დიდთოვლობით. ზვავსაშიშროებისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, ზამთარში სხვადასხვა დასახლებასთან დამაკავშირებელ გზებზე საავტომობილო მოძრაობა ხშირად იკეტება. ყოველწლიურად, დაახლოებით 6 თვის განმავლობაში შეუძლებელია გადაადგილება როშკა-არხოტის და შატილის მიმართულებით. აღნიშნულ პერიოდში დასახელებულ სოფლებთან დამაკავშირებელ ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებას ვერტმფრენი წარმოადგენს. რამდენადაც აღგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დიდი ნაწილი გრუნტოვანია, გზის საფარის ხშირი დაზიანების გამო, საავტომობილო მიმოსვლა ზაფხულის თვეებშიც კი სირთულეს წარმოადგენს. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა გუდამაყრის, უკანა ფშავის, ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთის მაღალმთიანი დასახლებებისათვის.

სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების აღმოფხვრის მიზნით, მუნიციპალიტეტი იყენებს რეაგირების სხვადასხვა მექანიზმს, ზიანის/დანახარჯის მოცულობის და სამუშაოების ტექნიკური/საინჟინრო თავისებურებების გათვალისწინებით. ყოველწლიურად, არსებული საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში, მერია წინასწარ შეისყიდის სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო მომსახურებას. აღნიშნული კონტრაქტით მუნიციპალიტეტი ახორციელებს მყისიერ რეაგირებას უმეტესად «მცირე» დაზიანებების აღმოსაფხვრელად, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთებისათვის და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ სტიქიის პრევენციის ან დაზიანების აღმოფხვრისათვის აუცილებელია დიდი მოცულობის, კაპიტალური სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელება, რომლის სავარაუდო ღირებულებაც ცდება წინასწარ გამოყოფილი ასიგნების ფარგლებს, მუნიციპალიტეტის მიერ მზადდება ინდივიდუალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და დაფინანსების წყაროების მოძიების შემდგომ იწყება სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელება. ბოლო 5 წლის განმავლობაში სტიქიის

შედეგების სალიკვიდაციოდ განხორციელებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ 2 384 078 ლარი შეადგინა.

ცხრილი N9: მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები 2018-2022, ათასი ლარი

N	2018		2019		2020		2021		2022	
	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო
	700 000	სახელმწიფო ბიუჯეტი	1 664 300	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი	503 000	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი	58 900	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი	840 000	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი

რთული რელიეფი, კლიმატური პირობები, მასალებისა და სპეც-ტექნიკის დისლოკაციის ბაზებიდან დაცილება ართულებს არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასა და რეაბილიტაციას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, დასახელებული ფაქტორების გამო, ტექნიკურ სირთულეებს უკავშირდება და დამატებით ფინანსებს მოითხოვს.

ხიდები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 109 ხიდიდან 96 საჭიროებს სარეაბილიტაციო და გარკვეულ სარემონტო სამუშაოებს. მობილობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტს კიდევ ესაჭიროება 20 ხიდი 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. მათი მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 6 000 000 მლნ. ლარია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეაბილიტაცია/აღდგენა ჩაუტარდა 13 სახიდე გადასასვლელს.

ცხრილი N10: ხიდების რეაბილიტაციაზე დახარჯული თანხები მუნიციპალიტეტში

2018		2019		2020		2021		2022	
დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო	დაფინასების ოდენობა	დაფინანსების წყარო
0	-	175 110	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი	207 467	მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო ბიუჯეტი	85 700	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	174 295	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ტრანსპორტი. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზა მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. გზაზე მოძრაობა მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურია. სათანადოდ მოწყობილი სადგომების არარსებობის გამო, სატრანზიტო მარშრუტით მოძრავი სატვირთო ავტომობილები სავალი ნაწილის გასწვრივ, გვერდულზე ჩერდებიან. გზაზე მოძრაობის შეფერხებისას ამგვარი პარკირების ზოლი რამდენიმე დასახლების საზღვრებში უწყვეტად გრძელდება, რაც, თავის მხრივ, აფერხებს სხვა ტრანსპორტის მოძრაობას და ქმნის საავარიო საფრთხეებს. ამის გათვალისწინებით, სოფელ წითელისოფლის მიმდებარედ დასრულდა სატვირთო ავტომობილების გაჩერების ადგილის მოწყობა. პროექტი მასშტაბური და მნიშვნელოვანია, თუმცა აღწერილი პრობლემა გამოწვევად დარჩება მუნიციპალიტეტისათვის და საჭირო ანალოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობა სხვა ლოკაციაზე კიდევ 150 ავტომობილისთვის.

მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა უმეტესად მიკროავტობუსის ტიპის ტრანსპორტით ხორციელდება. ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებს 2 კერძო და 1 მუნიციპალური საწარმო. კერძო საწარმოების კუთვნილი მიკროავტობუსები რეგიონთა შორის და დუშეთი-თბილისის მიმართულებებზე მოძრაობს. მუნიციპალური საწარმო მგზავრთა გადაყვანას უმეტესად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს. რეისები სრულდება მხოლოდ კვირის ცალკეულ დღეებში და სრულად ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ შიდამუნიციპალური რეისები არარენტაბელურია, მგზავრობის 100%-ს სუბსიდირებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს. პრობლემაა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის დასახლებებში არ არის მოქმედი, კეთილმოწყობილი, შშმ პირთათვის ადაპტირებული ავტოსადგური, ტრანსპორტი და გაჩერებები.

გამყოფ ხაზთან მდებარე ყველა ადმინისტრაციული ერთეული საჭიროებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებას.

დუშეთის ავტოსადგურიდან ტრანსპორტი მოძრაობს თბილისის და მუნიციპალიტეტის დასახლებების მიმართულებით. გაბილეთიანების ერთიანი სისტემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოქმედებს. ინფორმაცია ავტობუსების მარშუტების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.

გარე განათება. საგზაო ინფრასტრუქტურასთან ერთად მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწყობასა და არსებული ქსელის რეაბილიტაციას. მხოლოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბოლო 5 წლის განმავლობაში 185 დასახლებაში მოეწყო გარე განათება. ქსელის საერთო სიგრძე 157 კილომეტრზე მეტია. 103 დასახლებაში გარე განათების სამუშაო ეტაპობრივად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტი გარეგანათებისთვის იყენებს 6000 ნათურას. სულ დამონტაჟებულია 14650 ნათურა. გარეგანათების ყოველწლიური ელექტროენერგიის მოხმარება შეადგენს 1 535 700 კვტ.-ს, რისთვისაც ბიუჯეტიდან იხარჯება 490800 ლარი.

გარე განათების საკითხი ნაწილობრივ მოგვარებულია გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, კერძოდ, გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელსა და მჭადიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის 9 სოფელში.

ელექტროენერგია. მუნიციპალიტეტის 20 დასახლების 98 მაცხოვრებელს ელექტროენერგია მზის პანელების საშუალებით მიეწოდება. 46 დასახლების 97 მოსახლე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. მათ წლიურად ესაჭიროებათ 732 კვტ ელექტროენერგია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ დასახლებებში ელექტროენერგია მომხმარებელს 24 საათიის განმავლობაში მიეწოდება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ბიზნესსა და ორგანზიაციებს ესაჭიროება 7 500 კვტ. ელ ენერგია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ელექტრო ენერგია 139 000 კვტ-ს შეადგენს. ელექტროენერიგიის მომარაგების ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას და შეცვლას საჭიროებს.

წყალარინება და წყალმომარაგება. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა და მოსახლეობისთვის სუფთა წყლის მიწოდება. ქალაქ დუშეთსა და 5 დასახლებაში (დაბა ჟინვალი, დაბა ფასანაური, სოფ. არაგვისპირი, სოფ. ბიჩნიგაურები და სოფ. არანისი) სასმელი წყლით უწყვეტ რეჟიმში მოსახლეობის უზრუნველყოფას ახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული

წყალმომარაგების კომპანია". კომპანია სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს სოფელ ბულაჩაურსა და სოფელ ახატანში, რომელიც 2024 წელს დასრულდება. აღნიშნულ კომპანიას სამუშოების დაწყება 2024-დან დაგეგმილი აქვს დაბა ჟინვალსა და დაბა ფასანაურში.

მუნიციპალიტეტის დანარჩენ დასახლებებში მოსახლეობის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი ა(ა)იპ „დუშეთის წყალი". მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში მოწყობილია 8 სათავე ნაგებობა და 25 ჭაბურღილი, ასევე 462.77 კმ სიგრძის წყალმომარაგების ქსელი. დღეისათვის მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს საპროექტო დოკუმენტაცია სოფელ მეზვრიაანთკარი, ჭილურტი, ლაზვიაანი, ბაქაქურები, დაბა ფასანაურის (ბიბლიაანები) წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშოები დასრულდება 2024 წელს. წყალმომარაგების გარეშე რჩება მუნიციპალიტეტის 47 დასახლება, მათ შორის, გამყოფ ხაზთან მდებარე ცალკეული სოფლები.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ის მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებელი შეადგენს 60%-ს, ხოლო „დუშეთის წყალის" ამოღების მაჩვენებელი - 64%-ს. მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უკეთებს 4718 აბონენტს. სუბსიდირების ყოველწლიური ოდენობა შეადგენს 350 000 ლარს.

ჩამდინარე წყლების მართვის კაპიტალური ქსელური სისტემა არსებობს ქ. დუშეთში, დაბა ფასანაურსა და დაბა ჟინვალში. დუშეთის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო ქსელის სიგრძე შეადგენს 36 კმ-ს. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები არ არის უზრუნველყოფილი წყალარინების ქსელით. იმ დასახლებებში კი სადაც ქსელი ამჟამად არსებობს, საჭიროებს რეკონსტრუქციასა და განახლებას. დღის წესრიგში მწვავე პრობლემად დგას საკანალიზაციო მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაკავშირებულია როგორც ტექნიკურ სირთულეებთან, ასევე, მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალის მოზიდვასთან.

მელიორაცია. მუნიციპალიტეტში მელიორაციის სისტემა სუსტად არის განვითარებული. საირიგაციო ქსელი არსებობს მხოლოდ 5 დასახლებაში. არსებული ქსელები რეაბილიტაციას საჭიროებს. წყალი, რომელიც ამ ქსელების საშუალებით მიეწოდება სარწყავად საკმარისი არ არის. ქსელის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია სოფელ არაგვისპირში 2024 წელს.

ინტერნეტი. 2019 წელს დაიწყო და დასრულებულია ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის ხეობების უკაბელო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფა. ამჟამად უკაბელო ინტერნეტი ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა ურბანულ დასახლებასა და 189 სოფელში. ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი 99 სოფელში.

დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში 57 სპორტული მოედანია, მათ შორის, ქ. დუშეთში - 7, დაბა ფასანაურში 1 და დაბა ჟინვალში-2. 2023-2025 წლებში 5 სპორტული მოედნის მშენებლობაა დაგეგმილი 20 დასახლებაში. 2022 წელს ქ. დუშეთში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების მქონე საფეხბურთო სტადიონი. ამავე წელს, მოეწყო 8 მინი სტადიონი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10-ს, ხოლო 39 საჭიროებს რეაბილიტაცია/აღდგენას.

ბაზალეთის ტბის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სანაპირო ზოლი ვერ აკმაყოფილებს დამსვენებლების მოთხოვნებს და საჭიროებს რეაბილიტაციას. გაწმენდას საჭიროებს თავად ტბაც.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 7 სკვერი და პარკია. თითოეული სკვერი აღჭურვილია სხვადასხვა ტიპის ატრაქციონით. საზოგადოებრივი საპირფარეშო არის მხოლოდ 2 სკვერში. მწვანე ნარგავების და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური.“ გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებიდან სკვერები და პარკები მოწყობილია მხოლოდ სოფელ ოძისში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. მუნიციპალიტეტში პრობლემად რჩება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. არსებული 18 შენობიდან 2021-2023 წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 შენობას, აშენდა 2 შენობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 საბავშვო ბაღის პროექტირება-მშენებლობა, რომლებიც 2025 წელს დასრულდება. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საჭიროებაა 1 სოფელში, სადაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის შესაბამისი ასაკის 10 ბავშვია დარეგისტრირებული..

ცხრილი N11: საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები დუშეთის მუნიციპალიტეტში, (სასწავლო წლის დასაწყისისთვის)[22]

	2017/ 2018	2018/ 2019	2019/ 2020	2020/ 2021	2021/ 2022	2022/ 2023
სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რაოდენობა (ერთეული)	15	18	18	18	18	18
მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა რაოდენობა ერთ სკოლამდელ დაწესებულებაზე (კაცი)	1 741,9	1 452,8	1 455,5	1 462,7	1 451,7	1 468,3

სკოლები. მუნიციპალიტეტში 37 საჯარო სკოლაა, რომელთაგან სამს 2021-23 წლების განმავლობაში ჩაუტარდა აღდგენა/რეაბილიტაცია. კერძო სკოლები მუნიციპალიტეტში არ არის. ქ. დუშეთის N2 და სოფელ პავლეურის საჯარო სკოლების პროექტირება/მშენებლობა 2025 წელს დასრულდება. 32 საჯარო სკოლის შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას. გამყოფ ხაზთან მდება ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლის საჭიროებაა 2 სოფელში, სადაც სასკოლო ასაკის 10 ბავშვია.

ცხრილი N12. საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დუშეთის მუნიციპალიტეტში, სასწავლო წლის დასაწყისისთვის[23]

	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023
სკოლების რაოდენობა (ერთეული)	38	38	38	38	37	37

[22] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[23] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამოქალაქო უსაფრთხოება. მუნიციპალიტეტს ემსახურება 2 სახანძრო მანქანა. პარკი განთავსებულია მხოლოდ ერთ დასახლებაში. მუნიციპალიტეტს კიდევ სჭირდება არანაკლებ 2 ავტომობილი და დეპო 2 დასახლებულ პუნქტში.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების 3 ავტომობილი. კიდევ საჭიროა 1 ავტომობილი. მაღალმთიანობის და სოფლებთან მისასვლელი გზების გადაკეტვის გამო, მუნიციპალიტეტს ესაჭიროება სამედიცინო ბრიგადა, რომელიც ავადმყოფების მოსახურებას შეძლებს ვერტმფრენის საშუალებით.

მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე ბუნებრივი სტიქიის მოქმედების ადგილი. არ მოქმედებს წინასწარი გაფრთხილების სიტემა, რომელიც საჭიროა მოეწყოს შემდეგ ადგილებში: სოფ. ქვემო მლეთა, დუშეთის ხევი, გრემისხევი, ჩოხელნი (ჩოხელთხევი).

მუნიციპალიტეტს ემსახურება პოლიციის 3 ეკიპაჟი. მათი დისლოკაციის ადგილებია ქ. დუშეთი, დაბა ჟინვალი, ქვემო მლეთა. ტურისტების რაოდენობის ზრდისას საჭიროა 3 ეკიპაჟის დამატება.

ნარჩენების მართვა. ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთევებისა და კეთილმოწყობის სამსახური"-ს მიერ ნარჩენების შეგროვება ხდება როგორც კონტეინერული, ისე ზარის სისტემით. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის 91 დასახლება (ერთი ქალაქი, 2 დაბა და 88 სოფელი) 18 282 მაცხოვრებლით (მოსახლეობის 70%). ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კომერციული ობიეტქტების 90%-ს. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებულია 1001 ერთეული 1.1$მ^3$ -იანი ნაგვის ურნა. ნარჩენების გატანას ემსახურება 7 ავტომანქანა, საიდანას 5 ცალი სპეც მანქანაა, ხოლო 2 ცალი ზარის პრინციპზე მომუშავე ავტომანქანაა. ქ. დუშეთში, შემოსასვლელიდან 2 კმ-ში, არსებობს ლიცენზირებული ნაგავსაყრელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო ობიექტებიდან, სამედიცინო ნარჩენების გატანას ახდენს შპს ,,ეკომედი".

დასუფთავების მოსაკრებელი ხარჯის მხოლოდ ნაწილს ფარავს, ძირითადი ნაწილი კი იფარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ცხრილში ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვაზე გამოყოფილ თანხებსა და ნარჩენების წარმომქმნელებისგან ამოღებული თანხების შესახებ.

ცხრილი N13: ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები[24]

წლები	2020	2021	2022
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (ლარი)	9 284 300	10 697 600	14 990 500
ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი თანხა (ლარი)	587 800	650 200	861 800
ნარჩენების წარმომქნელებისგან ამოღებული თანხა (ლარი)	72 067	99 591	92 137
ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი თანხის წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში,%	6.3	6.0	5.70
ნარჩენების წარმომქმნელებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების სახით ამოღებული თანხის წილი ნარჩენების მართვაზე გამოყოფილ თანხაში, %	12.0	15.0	10.6

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები:

[24] წყარო: ადგილობრივი ხელისუფლება

- მუნიციპალიტეტზე გამავალი რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალზე მოძრავი სატვირთო ავტომობილების დიდი რაოდენობის დროს სხვა ავტომობილების შეფერხებით მოძრაობა.
- გზების მოუწესრიგებლობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფერხებული მოძრაობა და ტრანსპორტის მოძველებული პარკი, დაბალი მობილობა.
- არასაკმარისია ინფრასტრუქტურა და სისტემები მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის.

ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჯანდაცვის მომსახურება. დუშეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მრავალპროფილური კლინიკა - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის" დუშეთის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, 19 სოფლის ამბულატორია, საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის დუშეთის რაიონული სამსახური (რომელიც შედგება ქ. დუშეთისა და დ. ფასანაურის ფილიალებისაგან), ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი. ჯანდაცვის პერსონალის რიცხოვნობა (ექიმები, საექთნო პერსონალი) მოსახლეობის 1000 კაცზე 5.1 შეადგენს.

„ჯეო ჰოსპიტალსი"-ს სამედიცინო ცენტრი დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უწევს ამბულატორიულ, სტაციონარულ და ლაბორატორიულ მომსახურებას. იგი გათვლილია 18 საწოლზე. აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით, ყოველ 1000 კაცზე მოდის 0,67 საწოლი. სამედიცინო ცენტრს აქვს 8 საწოლზე გათვლილი პალიატიური განყოფილებაც. კლინიკაში მუშაობს სხვადასხვა პროფილის 22 ექიმი და 13 ექთანი. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი" პაციენტებს სთავაზობს შეზღუდული რაოდენობის სამედიცინო სერვისებს. კლინიკას არ ჰყავს ბავშვთა ქირურგები, არ ტარდება ლაპარასკოპიული ოპერაციები, არ ფუნქციონირებს სამშობიარო და რეანიმაციული განყოფილებები, არ ტარდება მთელი რიგი კვლევებისა (მათ შორის, კომპიუტერული ტომოგრაფია), კლინიკას არ აქვს დიალიზის კაბინეტი სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე დიალიზის საჭიროების მქონე პირთათვის. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირთათვის დიალიზის კაბინეტი ჯეოჰოსპიტალსის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში 2024 წელს გაიხსნება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 18 ადმინისტრაციული ერთეულს 19 სოფლის ამბულატორია ემსახურება. საიდანაც 2 - ბარისახოს და შატილის ამბულატორია მუნიციპალიტეტის მართვაშია, 17 ამბულატორიას კი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი მართავს. სოფლის ამბულატორიებში ადგილობრივ მოსახლეობას პირველადი ჯანდაცვის სერვისები მიეწოდება, მათ შორის, ადგილზე ხდება ქრონიკული დაავადებების (დიაბეტი, ფილტვის ქრონიკული დაავადებები, გულსისხლძარღვთა სისტემისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ნევროლოგიიდან პარკინსონის დაავადება და ეპილეფსია) მქონე ასაკობრივი პენსიონერებისა და შშმ პირების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათი პატრონაჟი, ასაკობრივი და გეგმიური ვაქცინაცია. პაციენტების ვიწრო სპეციალისტებთან მიმართვიანობებით უზრუნველყოფა კლინიკებში სხვადასხვა დაავადებების დროს და სხვა. დაგეგმილია ბარისახოს და შატილის ამბულატორიების სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე გადაცემა, რაც შესაძლებელს გახდის ერთიანი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის მომსახურება გაეწიოს მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის დუშეთის რაიონულ სამსახურს ჰყავს სასწრაფო დახმარების 3 ბრიგადა, მათგან 2 – ქალაქ დუშეთში, ხოლო 1 - დაბა ფასანაურში. გამოძახებაზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, მიზანშეწონილია ცენტრს დაემატოს 1 სასწრაფო დახმარების ბრიგადა ბარისახოში. ასევე, სასურველია ადგილზე მოქმედებდეს ე. წ. კატასტროფის მანქანა და ბრიგადა, რათა დროულად მოხდეს პაციენტის საჭიროებისამებრ ტრანსპორტირება.

ცხრილი N14: მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სტატისტიკა დუშეთის მუნიციპალიტეტში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან შედარება[25]

	2018		2019		2020		2021		2022	
	დუშეთი	ყაზბეგი	დუშეთი	ყაზბეგი	დუშეთი	ყაზბეგი	დუშეთი	ყაზბეგი	დუშეთი	ყაზბეგი
ექიმების რიცხოვნობა	56	16	55	21	81	13	59	10	28	11
ექთნების რიცხონობა	51	16	54	42	73	35	75	35	44	35
ექიმთან მიმართვების რაოდენობა	20385	6533	21212	6751	16775	6496	17475	7050	18320	4517
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა	24	3	25	4	25	3	25	3	25	3
საწოლების რაოდენობა	21	15	21	14	35	15	34	15	35	15
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა დუშეთში მოსახლეობის 1000 კაცზე	0,8	3.9	0,8	3.7	1,3	4.0	1,3	4.0	1.3	4.0
ჯანდაცვის პერსონალის რიცხოვნობა დუშეთში მოსახლეობის 1000 კაცზე	4,1	8.4	4,2	16.6	5,8	9.0	5,1	10.1	2.7	12.2

მუნიციპალიტეტის სიდიდე, რთული რელიეფი და კლიმატი, ჯანდაცვის მოქმედი დაწესებულებებიდან დასახლებათა დაცილება, საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიღებას ართულებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტი, მაღალმთიანობის გამო, იოდ-დეფიციტის ენდემიური კერაა. შესაბამისად, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროულად გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით მოსახლეობის უფასო გამოკვლევები. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად საგანგაშოდ იზრდება ონკოლოგიური დაავადებების რიცხვი, რაც უმეტესად ექიმთან დაგვიანებიანებითი მიმართვიანობის შედეგია. დაავადებების ადრეულ

[25] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტადიაზე გამოვლენის მიზნით, სასურველია სკრინინგისთვის ჯეოჰოსპიტალში უფასო გამოკვლევებისათვის გაიხსნას კაბინეტი. მუნიციპალიტეტში არ არის ფსიქოტროპული მედიკამენტების აფთიაქი, რაც პრობლემებს უქმნის მოქალაქეებს.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებლებისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოსახლეობის მსგავსია. მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულს ემსახურება მჭადიჯვრისა და ოძისის ამბულატორიები, ხოლო გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეულში - გრემისხევის ამბულატორია. ამ სოფლებში, სამწუხაროდ, არ ფუნქციონირებს აფთიაქი და სტომატოლოგიური კაბინეტი.

მუნიციპალიტეტს ჯანდაცვის სფეროში დელეგირებული და საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად დაფუძნებული აქვს ა(ა)იპ "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დუშეთის მუნიციპალური ცენტრი." ცენტრი ახორციელებს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენას და პროფილაქტიკას, ჯანმრთელობის რისკ–ფაქტორების მონიტორინგს და მყისიერ რეაგირებას საგანგებო სიტუაციების დროს, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას. ცენტრის ფუნქციებში, ასევე, შედის იმუნიზაციის გზით მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა, მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღება, შენახვა და განაწილების უზრუნველყოფა „ცივი ჯაჭვის“ პრინციპით ცენტრალური დონიდან სამედიცინო სერვისების მიმწოდებლამდე. პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის მეთოდურ პრაქტიკული დახმარება; მოსახლეობის ანტირაბიული ვაქცინით, იმუნოგლობულინითა და ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; ტუბერკულოზით ავადობის და სიკვდილიანობის შემცირების უზრუნველსაყოფად, ტუბერკულოზზე აქტიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება და ა.შ. ცენტრის მიერ C ჰეპატიტსა და აივ ინფექცია/შიდსზე 18 წლის ზევით მოსახლეობის უფასოდ კვლევის სრულად მოცვა დაგეგმილია 2024 წელს.

ადგილობრივი მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სახის მუნიციპალურ პროგრამებს. მათ შორისაა, სამედიცინო-დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება ხუთი კატეგორიის ბენეფიციართათვის (ონკოპაციენტები, შშმ პირები, სოც. დაუცველები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, ასევე პირები, რომლებსაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ესაჭიროებათ შშმ პირის სტატუსის დასადგენი დიაგნოსტირება); დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა ოპერაციებისა და მკურნალობის დაფინანსება; 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან შშმ ბავშვთა სანატორიულ-კურორტული სარეაბილიტაციო მომსახურება დაფინანსება; დაუნის სინდრომით, აუტიზმით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება. დუშეთის მუნიციპალიუტეტი, ასევე, ახორციელებს მედიკამენტების შესყიდვას სოციალურად დაუცველების, ვეტერანების ა და ონკოლოგიური პაციენტებისთვის (ქიმიოთერაპიის, იმუნოთერაპიის, ჰორმონოთერაპიისა და ტარგეტული თერაპიისათვის).

ცხრილი N15: ჯანდაცვის სერვისებზე მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები (ათასი ლარი) და ბენეფიციართა რაოდენობა[26]

სერვისი	2018		2019		2020		2021		2022	
	ხარჯი	რაოდ.	ხარჯი	რაოდ.	ხარჯი	რაოდ.	ხარჯი	რაოდ.	ხარჯი	რაოდ.
ბენეფიციართა სამკურნალო მიზნით გაწეული ხარჯები	240133	600	251768	609	276955	588	358924	657	399195	775
ბენეფიციათა მედიკამენტებით უზრუნველყობა	29499	284	30198	279	38843	239	41057	259	520309	253

ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის მუნიციპალური პროგრამა მზარდია. ყოველწლიურად იზრდება სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თხოვნით წარმოდგენილი განცხადებების რიცხვი დაბენეფიციართა დასახმარებლად გახარჯული თანხების ოდენობა. საგულისხმოა ისიც, რომ 2022 წლის ჩათვლით მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარს კლინიკაში სამედიცინო მომსახურება უფინანსდებოდა წელიწადში მხოლოდ ერთხელ; 2023 წლიდან დაფინანსება გაიცემა წელიწადში ორჯერ, (ერთხელ ფინანსდება სადიაგნოსტიკო კვლევები, მეორე დაფინანსების ფარგლებში ოპერაცია ან მკურნალობა). საგულისხმოა ისიც, რომ ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში განმცხადებელებისთვის უარი უმეტესად განმცხადებლის მიერ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენას უკავშირდება. 2022 წელს მერიაში შევიდა 886 მოთხოვნა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე, რაც მოსახლეობის 3.32 %-ია, მათგან დაკმაყოფილდა მოთხოვნის 97%.

სოციალური მომსახურება. დუშეთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია 6 288 პენსიონერი, 18 წლამდე ასაკის 53 შშმ პირი, 18 წლის ზევით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის 229 პირი, მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 451 პირი, ზომიერად შეზღუდული 69 პირი. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 171 მარჩენალდაკარგული, 324 დევნილი (დაახლოებით 100 ოჯახი), 87 მრავალშვილიანი (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილით), 305 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანი და მასთან გათანაბრებული პირი, 1 - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირი, 92 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, ასევე, საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების ოჯახები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მარჩენალდაკარგულის სტატუსი, 12 - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი. სოციალურად დაუცველი პირების წილიმთლიან მოსახლეობაში დუშეთის მუნიციპალიტეტში 2023 წლისათვის შეადგენს 4.5%-ს. რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 2022 წლისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტში შესაბამისად 4 379 (რეგისტრირებული) და 1 511 (საარსებო შემწეობის მიმღები) შეადგენდა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებებში სოციალური დაცვის საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკით განსაზღვრული შემწეობების და შეღავათების გარდა, დამატებით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონით გათვალისწინებული შეღავათებიც მოქმედებს. სოციალური დაცვის ადგილობრივი პოლიტიკის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლიდან დადგენილია დახმარების დამატებითი სახეები. მათ შორისაა, სარიტუალო

[26] წყარო: დუშეთის მუნიციპალიტეტი

მომსახურების დაფინანსება, უფასო სასადილოს დაფინანსება, ერთჯერადი სოციალური დახმარება, სტიქიური უბედურებებისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, დევნილთა სოციალური დახმარება, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ყოველთვიური ფინანსური დახმარება, შინ მოვლის პროგრამა, საქართველოს წითელი ჯვრის ხელშეწყობის პროგრამა, თბობის სეზონზე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი დახმარებით უზრუნველყობა, დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალური პროგრამების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა დაფინანსების მოცულობაც და დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობაც. მაგალითისათვის, ერთ-ერთი მუნიციპალური პროგრამის - "ერთჯერადი სოციალური დახმარების" გაცემის მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის მანძილზე თითქმის გაორმაგდა.

2023 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ ერთჯერადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე, 50-დან 1000 ლარის ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარებით ფინანსდებიან სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, კერძოდ, სოციალურად დაუცველები 65001-დან 120000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით; ყველა ასაკის შშმ პირები; მრავალშვილიანები; 100 წელს გადაცილებული მოხუცები; მარტოხელა მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღები; ცელიაკით, ფენილკეტონურიითა და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირები; ახალდაქორწინებული წყვილები; წარჩინებული და უდედმამო სტუდენტები; ჟანგბადის კონცენტრატორით მოსარგებლე პირები; დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები; ოჯახები, რომლებსაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები; მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, ასევე, საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების ოჯახები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მარჩენალდაკარგულის სტატუსი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; მარჩენალდაკარგული ბავშვიანი ოჯახები; ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრული დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მსხვერპლი; მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, დევნილები, მარტოხელა პენსიონერები.

მუნიციპალიტეტი მაქსიმუმ 130 ბენეფიციარზე ახორციელებს უფასო სასადილოს დაფინანსებას მარტოხელა პენსიონერებისათვის, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-დან 120 001-მდე სარეიტინგო ქულა და იმ პირთათვის, რომელთაც წერილობით შუამდგომლობას უწევს სოციალური მუშაკი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ფუნქციონირებს შინმოვლის პროგრამა, რომელმაც 2022 წელს მომსახურება გაუწია 80 ბენეფიციარს, ხოლო 2023 წლიდან ის 132 ბენეფიციარს ემსახურება. 2021 წელს პროექტი ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მხოლოდ 2 დასახლებულ პუნქტში, რომელსაც 2022 წელს დაემატა ქ. დუშეთი, ს. დოლასქედი და ს. ჭართალი, 2023 წლიდან ს. ჭოპორთი, ს. ბულაჩაური და ს. დავათიც. ამ მხრივ მუშაობა კვლავაც გრძელდება.

პროგრამის მიხედვით მომსახურება გაეწევათ ხანდაზმულ, ავადმყოფ, სოციალურად დაუცველ და დემენციით დაავადებულ ბენეფიციარებს.

მუნიციპალიტეტი დახმარებას უწევს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში ერთჯერადად მაქსიმუმ 3 000 ლარის ოდენობით, საცხოვრებელი სახლის დანგრევის ან მთლიანად განადგურებისას – მაქსიმუმ 10 000 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულად დახმარებას თბობის სეზონზე.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება საქართველოს წითელი ჯვრის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც წითელი ჯვრის საზოგადოებისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის ,,საქმიანობათა ცენტრი დუშეთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" დაფინანსების ფარგლებში სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სხვადასხვა სოციალური ღონისძიება განხორციელდა.

2022-2023 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით, სოციალურმა სამსახურმა გარკვეული აქტივობები განახორციელა. მაგალითად, 2022 წელს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან ,,ათეასთან" ერთად და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა ჩაატარა. ასევე, ჩაატარა კვლევა - შშმ პირთა ბაზის შესაქმნელად, შშმ პირთა საჭიროებების დასადგენად და უნარების გამოსავლენად მათი შემდგომში გაძლიერებისა და დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით. კვლევების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, 2023 წლისთვის გადაიხედა ზოგიერთი, უკვე არსებული პროგრამა და დამატებით შეიქმნა პრევენციული, ოჯახის მხარდამჭერი და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ახალი მუნიციპალური სოციალური ქვე-პროგრამები. ჩატარებული კვლევის შედეგები უახლესი ორი-სამი წლის მანძილზე შესაძლებელია კიდევ გახდეს ახალი მუნიციპალური პროგრამების შექმნის საფუძველი.

მუნიციპალიტეტი ჩართულია ,,დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროექტში. მოსარგებლე შშმ პირები რეგისტრირებულები არიან საგურამოს დღის ცენტრში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უფინანსდებათ ტრანსპორტირება. .

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია შშმ პირთა საჭიროებებზე ზრუნვა. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტში 2022 წელს შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომელშიც შედიან როგორც მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე, შშმ პირი, 2 შშმ პირის მშობელი, სხვადასხვა დაწესებულების ხელმძღვანელი პირები და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები. 2023 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საბჭოს ჩართულობითა და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ შეიქმნა შშმ პირთა ბაზა. მათი უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენამ საშუალება მისცა მერიას, სოც. დაუცველთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ათეულობით მათგანი დაესაქმებინა. .

2022 წლიდან მუნიციპალიტეტში ამოქმედდა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N8 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ", რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი და თავშესაფრით უზრუნველყოფის პირობები.

ჯანდაცვასა და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები:

- სამშობიაროსა და რეანიმაციული განყოფილებების არქონა[27]
- ბავშვთა ქირურგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, დერმატოლოგის, ალერგოლოგის პროფილის ექიმების დეფიციტი მუნიციპალიტეტში.
- დამატებით სასწრაფო დახმარების ერთი ბრიგადის საჭიროება ბარისახოში, ერთი კატასტროფის მანქანისა და ბრიგადის საჭიროება მუნიციპალიტეტისთვის.
- ფსიქოტროპული მედიკამენტების აფთიაქის არ არსებობა მუნიციპალიტეტში.
- ამბულატორიების სერვისებთან წვდომის პრობლემა (მაგალითად, ხეობის ტერიტორიულ ერთეულში) მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სიდიდის გამო.
- ამბულატორიებისა და ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის რეაბილიტაციის საჭიროება და მათი სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სამედიცინო აპარატურით (ლაპარასკოპი, კტ კვლევის აპარატი) არასათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.
- მოსახლეობისთვის საინფორმაციო მასალების მიწოდების სირთულე, მოსახლეობის დიდ ტერიტორიაზე განსახლების გამო.
- გადამდებ დაავადებათა ზრდის რისკი.
- სოციალური სერვისებით მოსარგებლე ბენეფიციართა და მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდა.

განათლება, კულტურა და სპორტი

განათლება. დუშეთის მუნიციპალიტეტში 37 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა[28]. დაწყებითი, საბაზო და საშუალო სწავლების საფეხური ხელმისაწვდომია 26 სკოლაში, 11 სკოლა კი მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურის სკოლას წარმოადგენს. მაღაროსკარის, ბარისახოსა და შატილის სკოლები პანსიონის ტიპისაა და მოსწავლეებს საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობითა და კვებით უზრუნველყოფენ. პანსიონის ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო დაწესებულებების არსებობა, დასახლებათა დეპოპულაციის და მოსწავლეთა მცირე კონტინგენტის მიუხედავად, სასკოლო დაწესებულებების შენარჩუნება და მოსწავლეთა ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამის არსებობა ერთობლიობაში მნიშვნელოვნად ზრდის სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობას. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა საჯაროა.

[27] სამშობიარო განყოფილება არ არის ქ/მცხეთაშიც, რის გამოც მშობიარე თბილისში უნდა იქნეს გადაყვანილი, რაც დედისა და ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს წარმოადგენს.

[28] "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება, დანართები N2 და N3.

დოკუმენტის მომზადების მომენტისათვის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ავტორიზებული კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო დაწესებულება.

ცხრილი N16: ზოგადსაგანმანათლებლო სტატისტიკა[29].

	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023
მოსწავლეთა რიცხოვნობა (კაცი)	3 222	3 205	3 126	3 204	3 273	3 182
საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	259	241	217	228	262	-
მათ შორის: გოგო	119	120	92	115	120	-
ბიჭი	140	121	125	113	142	-
საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 1000 მოსახლეზე;	10,0	9,2	8,3	8,7	10,0	-
პედაგოგების რიცხოვნობა (კაცი)	712	693	640	642	633	634
მათ შორის: ქალი	609	598	549	550	547	548
კაცი	103	95	91	92	86	86

მუნიციპალიტეტის სკოლებში 3176 მოსწავლე და 645 მასწავლებელია. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 45%-ი ქალაქ დუშეთის ორ სკოლასა და დაბა ჟინვალის სკოლაში სწავლობს.[30] არსებობს სკოლები, სადაც დასახლებათა დეპოპულაციის გამო, მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეა დარჩენილი და მასწავლებელთა რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობას აღემატება.[31] სოფლებში - ყვავილსა და ხანდოში მოსწავლეთა კონტინგენტის არარსებობის გამო, არ ფუნქციონირებს 2 საბაზო სკოლა. მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა 87%-ი ქალია.

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით დუშეთის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლა და 817 მოსწავლე სარგებლობს. 2022 წელს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 784 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტი სრულად უზრუნველყოფს საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურებას.

მიუხედავად იმისა, რომ გასული 5 წლის განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო ინფრასტრუქტურა ძირითადად მოძველებულია. სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის N1 საჯარო სკოლის და სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლის სრული რებილიტაციის მასშტაბური სამუშაოები. დაგეგმილია სკოლების მშენებლობა დაბა ჟინვალში, სოფლებში პავლეურსა და აბანოსხევში.

მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 38 მოსწავლე. სსსმ და შშმ პირებისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა

[29] წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[30] იხ. საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი, https://catalog.emis.ge/;

[31] მაგ.: სოფელ ზანდუკის საჯარო სკოლაში 6 მოსწავლე და 13 მასწავლებელია, სოფელ გუდრუხში მოსწავლეთა რაოდენობა 6, მასწავლებელთა – 10, სოფელ ჩირიკში 2 მოსწავლე და 6 მასწავლებელია და ა.შ.

გამოწვევად რჩება, რამდენადაც ყველა სკოლა არ არის სრულად ადაპტირებული და მისაწვდომი ინკლუზიური საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნაკლებად ხელმისაწვდომია სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებიც სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკით ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების გადამწყვეტი როლი ინკლუზიური განათლების პროცესში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლების უმრავლესობა ამგვარი პროფესიონალების სიმცირეს განიცდის.

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, გრიფირებული სახელმძღვანელოებით ყოველწლიურად უზრუნველყოფილია შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ყველა ბენეფიციარი. პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ყველა პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს გადაეცემათ პორტატული კომპიუტერი (ბუკი). ამავე პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად პორტატული კომპიუტერები გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, მათ შორის, მაღალმთიანი დასახლებების სკოლების საბაზო საფეხურების წარჩინებულ მოსწავლეებს, რომელთა საბაზო საფეხურის ნიშანია 10 ქულა დამრგვალების გარეშე. მოტივაციის ამაღლების მიზნით, "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს სოციალურ და საგადასახადო შეღავათებს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგებისათვის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მოსწავლეთათვის, რომლებიც 3 სასწავლო წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში, ხელმისაწვდომია საგრანტო დაფინანსება მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში[32]. სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ოკუპირებულ ტერიტორებთან ახლოს მდებარე სოფლების სკოლებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოხვედრისას სარგებლობენ კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი შეღავათებით.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებისათვის სხვადასხვა ოდენობის დახმარებას ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამაც.[33]

სკოლამდელი აღზრდის და განათლების სერვისის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი" 18 ფილიალით. მათგან 3 ფილიალი (საბავშვო ბაღი) ქალაქ დუშეთში, 1 - დაბა ჟინვალში, 1 - დაბა ფასანაურში, 13 - კი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მდებარეობს. სულ სკოლამდელი აღზრდის ფილიალებში რეგისტრირებულია 654 აღსაზრდელი.

---

[32] უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N419 დადგენილება.

[33] "დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის 2023 წლის პროგრამებისა და პროგრამებში მონაწილეობის წესების დამტკიცების შესახებ" დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N28 დადგენილება, მუხლი 13.

ცხრილი N17: სკოლამდელი აღზრდის სტატისტიკა[34]

	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023
ჩართულ ბავშვთა (აღსაზრდელები) რაოდენობა (კაცი)	675	697	685	680	704	654
აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების /აღმზრდელის თანაშემწეების/ ინკლუზიური განათლების სპეც. პედაგოგიების რაოდენობა (კაცი)	79	116	88	94	98	59
ბავშვების საშუალო რაოდენობა აღმზრდელ-პედაგოგზე	8,5	6,0	7,8	7,2	7,2	11,1
ჩართულ ბავშვთა (აღსაზრდელების) რაოდენობა მოსახლეობის 1 000 კაცზე	25,8	26,7	26,1	25,8	26,9	24,7

სკოლამდელი აღზრდის უზრუნველსაყოფად, დუშეთის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად საკუთარი შემოსავლების დაახლოებით 15%-ს ხარჯავს. ამასთან, დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 2022 წელს ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" ბიუჯეტის გადასახდელებმა 2029.9 ათასი ლარი შეადგინა, 2023 წლისთვის კი დაფინანსების გეგმა 2699.7 ათას ლარს შეადგენს. ზარჯების ზრდის ძირითადი მიზეზია სახელფასო ანაზღაურების და კვების ხარჯების ზრდა, ასევე, აღსაზრდელთა კონტინგენტის მატება.

ცხრილი N18: დუშეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები სკოლამდელი აღზრდის უზრუნველსაყოფად[35]

	2018	2019	2020	2021	2022
აღსაზრდელებზე გაწეული ხარჯები სულ	266106	262747	222578	93453	486990
აღმზრდელ-პედაგოგების სახელფასო ფონდი	174120	195924	202062	254668	373631

2019-2022 წლების განმავლობაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. დუშეთის N1, N2, N3 საბავშო ბაღებს და დღეისათვის აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სრულად შესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. გაიხსნა საბავშო ბაღები ბულაჩაურში, ოძისში, ჭართალში და ქვეშეთში. დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაბა ფასანაურსა და რამდენიმე სოფელში, მათ შორის, აბანოსხევში, ბაზალეთში, პირმისაანთკარში, გრემისხევსა და ჭართალში.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 14 ბაღში. მასშიჩართულია სასკოლო ასაკის 300-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 58 აღმზრდელ-პედაგოგი. პედაგოგთა 100%-ი ქალია.

ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღმზრდელობა და მასწავლებლობა არამიმზიდველი კარიერული არჩევანია დაბალი ანაზღაურების გამოც. ბოლო წლების განმავლობაში დღის წესრიგში პრიორიტეტად დგას სახელფასო ანაზღაურების მატება, თუმცა

[34] წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[35] წყარო: ადგილობრივი ხელისუფლება

ჯერ-ჯერობით პრობლემა კვლავ მწვავეა, რამდენადაც სექტორში დასაქმებულთა საბაზო ანაზღაურება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ოდენობას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშიც, ისევე როგორც სკოლებში, აღსაზრდელთა და პედაგოგთა/პერსონალის განაწილება არაოპტიმალურია. ქალაქის ტიპის დასახლებებსა და მაღალმთიან დასახლებებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა და პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა განსხვავებულია. დასახლებათა დეპოპულაციის და აღსაზრდელთა მცირე რაოდენობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებს და დამატებით გეგმავს ახალი ფილიალების გახსნას, რათა სკოლამდელი აღზრდის სერვისი მაქსიმალურად იყოს ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

განათლების ხელმისაწვდომობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის კვლავ გამოწვევად რჩება პროფესიული განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და პროფესიული განათლების მიღების დაბალი მაჩვენებლები. მუნიციპალიტეტში არ არსებობს პროფესიული განათლების ცენტრი. მუნიციპალიტეტში მომდევნო 4 წლის განმავლობაში ასეთი ცენტრის გახსნა არ იგეგმება.

მზარდი ციფრული სასწავლო გარემო დიდ გავლენას ახდენს სწავლა/სწავლებისა და კვლევის პროცესსა და შედეგებზე. ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის ტემპი. დისტანციური სასწავლო პროგრამები, სასკოლო და სკოლის გარე განათლების ციფრული პლატფორმების როლი გაიზარდა. მნიშვნელოვანია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი ინტერნეტით დაფარვის კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიფარა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით. დასახლებათა დაცილების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის და სხვა გარეოებების გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტორი მუნიციპალიტეტში სწავლების სხვადასხვა საფეხურის და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება იქნეს განხილული.

მოსახლეობის განსახლების თავისებურების, მაღალმთიან დასახლებათა დეპოპულაციის და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში დაინერგოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების ხელმისაწვდომი მექანიზმები. მნიშვნელოვანია, განათლების სისტემამ შექმნას სწავლისა და კომპეტენციების განვითარების უწყვეტი შესაძლებლობები ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მათ შორის, აუცილებელია საჭირო სამეწარმეო კომპეტენციებისა და უნარების შეძენის შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭოპორტში 2018 წელს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით ჭოპორტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე გაიხსნა "ინოვაციების ცენტრი", სადაც უფასო საგანმანათლებლო სერვისებით და სივრცით სარგებლობენ ახალგაზრდები და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებული სხვა პირები. ცენტრის შესაძლებლობებით ყოველწლიურად 100-150 ბენეფიციარი სარგებლობს. ბენეფიციარები ძირითადად ფასანაურიდან და ჭოპორტიდან არიან.

მოსწავლეთა და ახალგაზრდების ჰოლისტიკური (ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური) განვითარების მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანია სკოლისგარე განათლების, მათ შორის,

სახელოვნებო და სასპორტო განათლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 სახელოვნებო და 1 სასპორტო სკოლა, რომელთაც ყოველწლიურად 150-200 ბენეფიციარი ჰყავთ.

კულტურა. დუშეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი". აღნიშნული იურიდიული პირის შემადგენლობაში შედის დუშეთის სახელოვნებო სკოლა, ჟინვალის და ფასანაურის სამუსიკო სკოლები. დასახელებული სკოლისგარე სასწავლო დაწესებულებების სხვადასხვა წრეებში გაერთიანებულია 300-მდე მოსწავლე. მის შემადგენლობაში ფილიალის სახით შედის, ასევე, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი, ილია ზაქაიძის სახელობის დუშეთის კულტურის სახლი, ჟინვალის კულტურის სახლი, ანსამბლი ,,ქალილო", მუსიკალური ბენდი.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება სახალხო დღესასწაულები ,,დუშეთობა", ,,არაგველობა", ,,ვაჟაობა", ,,შატილობა", ,,გოდერძობა"; ასევე, ტარდება სხვადასხვა ტიპის ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, სახალხო რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; ქ.დუშეთში არსებობს სოციალური საწარმო ,,ხვარამზე", სადაც ბავშვებს, მათ შორის, შშმ და სოციალურად დაუცველ პირებს უფასოდ უტარდებათ მასტერ-კლასები თექაზე მუშაობის, ქარგვის, ქსოვის ტექნიკის დასაუფლებლად.

ქალაქ დუშეთის სახალხო თეატრმა 2023 წელს 143 წლის იუბილე აღნიშნა. თეატრს არ ჰყავს რეჟისორი, ქორეოგრაფი, მხატვარი, თეატრის მსახიობები კულტურის სახლის თანამშრომლებად ირიცხებიან. ყოველწლიურად იდგმება 1 სპექტაკლი. თეატრს მაყურებელი უმეტესად ქალაქ დუშეთიდან ჰყავს. ყოველ წარმოდგენაზე ასამდე ბილეთი იყიდება, რაც სპექტაკლის ხარჯს ნაწილობრივ ფარავს.

მუნიციპალიტეტის მართვაშია დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი და გოდერძი ჩოხელის მუზეუმი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელმწიფო მართვაში მყოფი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში, ასევე, გიორგი და დავით ერისთავების მუზეუმი სოფელ ოძისში. ჩამოთვლილი დაწესებულებებიდან შეუფერხებლად ფუნქციონირებს მხოლოდ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში და გოდერძი ჩოხელის მუზეუმი სოფელ ჩოხში. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი საჭიროებს გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და დაკეტილია ვიზიტორებისათვის. მუზეუმების მათ შენახვასა და განვითარებაზე მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ხარჯავს 36326 ლარს.

მუზეუმების განვითარებისთვის აუცილებელია მუზეუმის თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლება, აღჭურვის გაუმჯობესება, მუზეუმების დიჯიტალიზაცია. მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნითმ დასანერგია ღამე მუზეუმში, ღია კარის დღე, მუზეუმი სკოლაში და სხვა ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს ა(ა)იპ დუშეთის ალ. როინიშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც შედის 10 ბიბლიოთეკა და 2 ინოვაციის ცენტრი (დუშეთის და ჭოპორტის). მკითხველთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 1137, ხოლო 2023 წელს -1558. ერთმა მკითხველმა 2022 წელს 10-ჯერ ისარგებლა ბიბლიოთეკების ფონდით. წიგნადი ფონდი - 77 179 ერთეულია, თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 37 მუშაკს (ძირითადად ქალები). ბიბლიოთეკებში არსებული ფონდები უმეტესად მოძველებულია და აუცილებელია მათი განახლება-გამდიდრება. საგულისხმოა, რომ გამყოფი

ხაზის მიმდებარე სოფელ ოძისში და სოფ. ბაზალეთში მოსახლეობა ითხოვს ბიბლიოთეკის გახსნას.

ბიბლიოთეკები არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. მთავარ ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი კომპიუტერი, აუცილებელია მისი ტექნიკური აღჭურვა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულება. ინტერნეტის შეყვანა ყველა ბიბლიოთეკაში გაზრდის სხვადასხვა მასალაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების ონლაინ-სასწავლო ცენტრებად ჩამოყალიბებას.

ყოველწლიურად მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსულობების დაახლოვებით 10%-ს ხარჯავს კულტურის სფეროს მიმდინარე დაფინანსებაზე. 2023 წელს ამ მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები 1 332.4 ათასი ლარია.

სფეროს ძირითადი პრობლემებიდან აღსანიშნავია ამორტიზებული ინფრასტრუქტურა, არასათანადო/არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა, კულტურის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა დაბალი ანაზღაურება.

ცხრილი N19: დუშეთის მუნიციპალიტეტის ხარჯი კულტურაში

	2018	2019	2020	2021	2022
ბიბლიოთეკები	123650	145700	165650	162136	202828
მუზეუმები	24761	25817	25430	25673	36326

სპორტი. დუშეთის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ა(ა)იპ ,,დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება" სთავაზობს მსურველებს სპორტის სასწავლო წრეებს 16 სახეობაში. სპორტულ სექციებში ირიცხება სულ 600 მოსწავლე, დასაქმებულია 56 მწვრთნელი. გაერთიანების ამოცანაა როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ასევე, სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი მიღწევების ხელშეწყობა.

სფეროს პრობლემებიდან უნდა გამოვყოთ უმეტესად მოძველებული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, სპორტის სფეროში დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება. სასპორტო სწავლების სექციები უმეტესად დიდ დასახლებებში მდებარეობს და ნაკლებად ხელმისაწვდომია სხვებისთვის.

ქალაქ დუშეთში 2024 წლისთვის დასრულდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასპორტო კომპლექსი, რომელიც 500 ბენეფიციარს მოემსახურება. კომპლექსში შესაძლებელი იქნება ვარჯიში სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ამჟამად ფუნქციონირებს უფასო წრეები სპორტის 16 სახეობაში.

ქალაქ დუშეთში ფუნქციონირებს კერძო სასპორტო კომპლექსი ,,ოლიმპიური სახლი", რომელიც უმეტესად მაღალი მიღწევების სპორტის საწვრთნელ ბაზად გამოიყენება. სასპორტო კომპლექსში ხშირად იმართება საწვრთნელი შეკრებები სპორტის ეროვნული ფედერაციების ორგანიზებით. ქ. დუშეთში 2023 წელს გაიხსნა ახალი, სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატის «მასტერ ლიგის» სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი საფეხბურთო სტადიონი ,,კოსმო არენა", რომელიც 100-მდე ბენეფიციარს ემსახურება.

ცხრილი N20: დუშეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები სპორტში

	2018	2019	2020	2021	2022
მასობრივი სპორტი	423032	421340	376610	384248	583875

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმმართველობის განხორციელებაში ***ახალგაზრდების ჩართულობა***. ახალგაზრდების ხელშეწყობა, გადაწყვეტილების მიღებაში მათი თანამონაწილეობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო"-სთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევების შედეგად, 2022 წელს შეიქმნა მერის სათათბირო ორგანო - მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა მმართველობით, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ პროცესში, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების პროცესშიც. საბჭოს საქმიანობა მოხალისეობრივ საწყისებზეა აგებული. საბჭოს წევრად მიღების და საბჭოს საქმიანობასთან დაკავშიებული სხვადასხვა საკითხები განსაზღვრულია დებულებით.

ახალგაზრდებთან მიმართებით იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან და პრობლემებიდან, მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია არაფორმალური საგანმანათლებლო, რეკრეაციული და გასართობი დაწესებულებების სიმცირე, განსაკუთრებით კი სოფლის კატეგორიის მცირე დასახლებებში. მუნიციპალიტეტში, პრაქტიკულად, არ არსებობს ახალგაზრდული კლუბები, შემეცნებითი თავშეყრის ადგილები, თვითგამოხატვის ცენტრები თუ არაფორმალური განათლების ადგილები. ასევე, არ არსებობს პროფესიული გადამზადების ცენტრები, რაც, თავის მხრივ, იწვევს ახალგაზრდების გადინებას. ახალგაზრდებთან მუშაობის შედეგად, გამოკვეთილია ორი პრობლემა: სპორტულ-სავარჯიშო სივრცეების სიმცირე და საცურაო აუზის არარსებობა. პრობლემაა ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების და სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელიც.

ძირითადი გამოწვევები:

განათლება:

- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- ინკლუზიური და სსსმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს არ არსებობა საბავშო ბაღების და სკოლების უმრავლესობაში.
- სსმ და შშმ პირებისათვის არასაკმარისი სპეც-მასწავლებლების რაოდენობა.
- ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი განათლების მიღების ხელმიუწვდომლობა.

კულტურა:

- ამორტიზებული ინფრასტრუქტურა.
- ჟინვალის კულტურის სახლი, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი, დუშეთის ჟინვალის და ფასანაურის სამუსიკო სკოლა, არქეოლოგიური ბაზა - ავარიულია და საჭიროებს რეაბილიტაციას ან ახლის აშენებას.
- მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ჩატარებული სახალხო დღესასწაულების გამოყენება ეკონომიკის განვითარებისთვის.
- მუნიციპალიტეტის მუზეუმების მნახველთა რაოდენობის ზრდა.
- საბიბლიოთეკო დაწესებულებების განვითარება.
- კულტურის მუშაკთა დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო კადრების გადინება.

სპორტი:

- სპორტული ინფრსტრუქტურის ნაკლებად განვითარება სოფლად და არსებულთან წვდომის სირთულე სოფლად მაცხოვრებლებისთვის.
- მოქმედი მწვრთნელების გადამზადების საჭიროება
- განსაახლებელი სპორტული ინვენტარი.
- პარაოლიმპიური სპორტის ნაკლები მხარდაჭერა
- საცურაო აუზის არ არსებობა.

ახალგაზრდობა:

- არაფორმალური საგანმანათლებლო, რეკრეაციული და გასართობი დაწესებულებების სიმცირე, განსაკუთრებით მცირე მოსახლიან სოფლებში.
- პროფორიენტაციასა და დასაქმებაში დახმარების ცენტრების არ არსებობა.
- ახალგაზრდების თავშეყრის და არაფორმალური განათლების ადგილების სიმცირე
- ახალგაზრდების გადინება პროფესიული გადამზადების ცენტრების არ არსებობის გამო.

გარემოს დაცვა

დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები და მოიცავს სამი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას: ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს, ასას აღკვეთილსა და როშკის ბუნების ძეგლს. მისი საერთო ფართობი 79 908 ჰექტარია. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს არაგვის დაცული ლანდშაფტი და მოიცავს მდინარეების გუდამაყრის არაგვის, ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის ხეობებს. არაგვის დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 99 802 ჰექტარი. მასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“.

დუშეთის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ადგილობრივი ტყეები და ნაკრძალები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტყეები სახელმწიფო საკუთრებაშია, სადაც შესაძლებელია მერქნული რესურსების ადგილზე დამუშავება. ტყის ფონდის საერთო ფართობია 117,800 ჰა, აქედან ტყით არის დაფარული 113 ათასი ჰა. პრობლემას სოციალური ჭრა წარმოადგენს. სოფლად არსებული გაჭირვება იძულებულს ხდის ადამიანებს, უკანონოდ და არასათანადო მეთოდებით მოიპოვონ ტყის რესურსები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად არ მოქმედებს ისეთი საწარმო ობიექტი, რომელიც მავნე ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჰაერის დაბინძურების მუდმივი წყაროს წარმოადგენს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საერთაშორისო საავტომობილო გზაზე გამავალი სატვირთო ავტომანქანები. აქ არ არის განთავსებული ჰაერის დაბინძურების საზომი ხელსაწყო. მუნიციპალიტეტში არ არის მოწესრიგებული ზედაპირული (სანიაღვრეები, ღვარცოფები) და საყოფაცხოვრებო წყალარინების სისტემები და გამწმენდი ნაგებობები, რის გამოც გაუწმენდავი ფეკალური წყლები პირდაპირ მდინარეშიჩაედინება. ამას ემატება სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემები, ქვის სამტვრევი საამქროდან დაღვრილი ზეთები, აზბესტის

ნარჩენები, ნარჩენი პესტიციდები და მათი შესანახი კონტეინერები და სხვა. სისტემები, ა(ა)იპ „დუშეთის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ კვარტალში ერთხელ ახდენს სტიქიური ნაგავსაყრელების დასუფთავებასა და ლიკვიდაციას.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე ხშირი ბუნებრივი სტიქიური მოვლენებია ღვარცოფი, მეწყერი, სეტყვა, წყალდიდობა, ტყის და ველის ხანძარი, ზვავი, დიდთოვლობა, ძლიერი წვიმა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს სათანადოდ განვითარებული ადრეული გაფრთხილების სისტემა. ბუნებრივი კატასტროფებიდან ხანძარს, მეწყერს და მიწისძვრას შეუძლია ყველაზე მეტად დააზარალოს შენობები და ყველაზე მეტი მსხვერპლი გამოიწვიოს დუშეთის მუნიციპალიტეტში[36].

დიდი მასშტაბის კატასტროფა მუნიციპალიტეტში შესაძლებელია გამოიწვიოს ჰიდროდინამიკურმა ავარიამ ჟინვალის წყალსაცავზე. მას არამარტო მუნიციპალიტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვის ექნება კატასტროფული შედეგი. ჟინვალის წყალსაცავის კაშხალი წარმოადგენს მიწის ნაყარ, თიხის გულიან ნაგებობას. კაშხლის სიმაღლე 102 მეტრია, ხოლო მუშა სიმაღლე - 96 მეტრი, კაშხლის სიგანე ზღურბლზე 415 მეტრი. კაშხლის გარღვევის შემთხვევაში, კატასტროფული დატბორვის ზონაში მოექცევა დუშეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი დასახლებული პუნქტები: ჩინთი, ბოდორნა, არაგვისპირი, ქუბრიანთკარი, ბულაჩაური, წითელსოფელი, აბანოსხევი, ჭოპორტი. დატბორვის ზონაში ასევე ექცევა მცხეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი და ქალაქი მცხეთა, აგრეთვე ქალაქების თბილისისა და რუსთავის ცალკეული ადგილები[37].

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები:

- დუშეთის მუნიციპალიტეტი არ არის სრულად მზად კატასტროფების მართვის არც ერთი ფაზისთვის: პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება, აღდგენა და შერბილება.
- ჰაერის დაბინძურების საზომი სისტემების არ ქონა საქართველო - რუსეთის ფედერაციის დამკავშირებელ მაგისტრალზე.
- ორგანიზებული მწვანე საფარის არასაკმარისი რაოდენობა.

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

დუშეთის მუნიციპალიტეტი თვითმმართველ თემს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი. საკრებულო და მერი წარმოადგენენ ადგილობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელ და გამტარებელ ძირითად სამართლებრივ სუბიექტებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული 33 წევრისაგან. მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოში შექმნილია 5 კომისია და 3 ფრაქცია. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფას ახორციელებს 12 საჯარო მოხელით დაკომპლექტებული აპარატი. საკრებულოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში

36 http://drm.cenn.org/index.php/en/community-profile

37 საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია 2017-2020.

ერთხელ მაინც და ტარდება, როგორც წესი, ყოველი თვის მეოთხე პარასკევს. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია შედგება ცხრა სამსახურისაგან: ადმინისტრაციული სამსახური; ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური; შიდა აუდიტის სამსახური; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური; მუნიციპალური შესყიდვების სამსახური. მერიაში დასაქმებულია 84 საჯარო მოხელე. დუშეთის მუნციპალიტეტის მერს დანიშნული ჰყავს წარმომადგენელი თვრამეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში. მუნიციპალიტეტში არ არის მიმდინარე პროექტების კოორიდანაციის და ინფორმაციის გაცვლის, განვითარების გეგმებზე განხორციელებაზე და შეფასებაზე მუშაობის ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკა. მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა მერის და მერის მოადგილეების პასუხისმგებლობაა.

მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილებების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მეწარმე სუბიექტების მეშვეობით. სერვისები მოსახლეობას უსასყიდლოდ მიეწოდება ან დადგენილი საფასური თვითღირებულებაზე დაბალია.

ნარჩენების მართვის მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტში დადგენილია მოსაკრებელი 37 თეთრის ოდენობით. ანალოგიური სერვისისათვის მცხეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში 40%-თ მეტი მოსაკრებელია დადგენილი. ა(ა)იპ "დუშეთის წყალი" სოფლების მოსახლეობას მომსახურებას მთლიანად მუნიციპალიტეტის ხარჯით აწვდის.

თვითმმართველობის განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების მონაწილეობის, არასამთავრობო სექტორის და ბიზნესის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი იყენებს როგორც კანონისმიერ, ასევე, დამატებით მექანიზმებს. საქართველოს ორგანული კანონის «ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის» 86[1] მუხლის შესაბამისად შექმნილია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. მერის ინიციატივით დაფუძნებულია ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, შექმნილია სხვადასხვა საკითხზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც საჯარო მოხელეებთან ერთად შედიან საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც მიზნად ისახავს მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ღია დიალოგის ხელშეწყობას, მათ შორის, შექმნილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფი, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ შექმნილია და ფუნქციონირებს დუშეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო და ა.შ.

ცალკეული პროექტების (მათ შორის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის) დაგეგმვის და განხორციელებისას მუნიციპალიტეტი იყენებს საქართველოს ორგანული კანონის «ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის» 85[2] მუხლით გათვალისწინებულ ინსტრუმენტს – დასახლების საერთო კრებას. ქონების განკარგვის, სალიცენზიო და სხვა საკითხებზე მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, სხვადასხვა პერიოდულობით იმართება სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში არასამთავრობო სექტორი სუსტადაა განვითარებული. ადგილობრივი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი მცირეა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივი ბიზნესის ასოციაცია ან ადგილობრივ მეწარმეთა საერთო ინტერესების გამომხატველი სხვა მსგავსი ორგანიზაცია.

მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესი და არასამთავრობო სექტორი ნაკლებად ავლენს დაინტერესებასა და სურვილს მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის განხორციელებაში. აღნიშნული აქტორების სიმცირე და პასიურობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტი სარგებლობს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (https://ms.gov.ge/) მომსახურებით და საქმისწარმოებას ახორციელებს ელექტრონულად. წარმოების დიჯიტალიზაცია ზრდის საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას, საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს დისტანციურად, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მისვლის გარეშე, გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია; ასევე, სხვადასხვა მომსახურების მიღების მიზნით, შეავსოს განაცხადი, წარადგინოს საჩივარი, გააცნოს მუნიციპალიტეტს საკუთარი პოზიცია/წინადადება და ა.შ.

მუნიციპალიტეტის ცალკეული უფლებამოსილებების განხორციელებისას, ასევე, გამოიყენება ელექტრონული პლატფორმები. მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება შესყიდვების ელექტრონული პორტალის (http://procurement.gov.ge) გამოყენებით. მუნიციპალური ქონების განკარგვისას გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი (https://eauction.ge/).

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის მუნიციპალიტეტი იყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს (https://dusheti.gov.ge/), ფეისბუქ გვერდსა და სხვა სოციალურ მედია-საშუალებებს; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და ცალკეული კატეგორიის ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, გამოიყენება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდი (https://matsne.gov.ge/). რამდენადაც ციფრული საინფორმაციო არხები არაა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენება არაელექტრონული საშუალებებიც; მუნიციპალიტეტის მიერ გამოიცემა საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე". ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ცალკეული ინფორმაციის განთავსება ხდება სხვადასხვა დასახლებებში ადმინისტრაციულ შენობებთან არსებულ საინფორმაციო სტენდებზე.

პროაქტიული გამოქვეყნების პარალელურად, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფები მოთხოვნისამებრ გასცემენ საჯარო ინფორმაციას კანონით დადგენილი წესით, როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული ფორმით.

2022 წელს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო ინფორმაციის გაცემით მოთხოვნით მომართა 153 განმცხადებელმა, საიდანაც დაკმაყოფილდა 149. მუნიციპალიტეტს არ აქვს ცხელი ხაზი, თუმცა მერიის სატელეფონო ნომერზე დარეკვისას, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით დაკავშირების შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც კონსულტაციის, ასევე, ინფორმაციის მიღება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ბიზნესის მიერ სახელმწიფო სერვისების მისაღებად ქალაქ დუშეთსა და დაბა ფასანაურში ფუნქციონირებს იუსტიციის სახლები; აქ ხელმისაწვდომია სამოქალაქო რეესტრის სერვისები, ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურება, სააღსრულებო სერვისი, საარქივო მომსახურება და ა.შ. ქალაქ დუშეთის იუსტიციის

სახლთან, ასევე, ფუნქციონირებს ქორწინების სახლი. ორივე დასახლებაში იუსტიციის სახლთან მოწყობილია თანამედროვე ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქალაქ დუშეთის ტერიტორიული ორგანო, საქართველოს ფოსტის ქალაქ დუშეთის სერვის-ცენტრი, ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დუშეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილება, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დუშეთის რაიონული განყოფილება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველო და ა.შ. აღნიშნული უწყებები მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს ადგილზე სთავაზობენ სხვადასხვა პროფილურ სერვისსა და საკონსულტაციო მომსახურებას.

სახანძრო-სამაშველო სამსახური დაშორებულია დასახლებული პუნქტებიდან და ხშირად ვერ ასწრებს შემთხვევის ადგილამდე დროულად მისვლას. ქალაქ დუშეთში განთავსებულია მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი დუშეთის მაგისტრატი სასამართლოც. შესაბამისად, უფლების სასამართლო წესით დაცვის მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ქალაქ დუშეთსა და ქალაქ მცხეთაში, კანონით დადგენილი განსჯადობის გათვალისწინებით. ნოტარიუსის სერვისები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია ქ. დუშეთში.

მუნიციპალურ სერვისებთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები:

- მუნიციპალიტეტის მმართველოს არ პასუხობს ბუნებრივი კატასტროფებთან, ეკონომიკის განვითარებასთან, სხვადასხვა სექტორებთან, მუნიციპალიტეტებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურები არ არიან შესაბამისად აღჭურვილნი.
- მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი განვითარების გეგმების განხორციელებაზე და შესრულების შეფასებაზე სტრუქტურული ერთეულების და დაინტერესებული მხარეების ერთობლივად მუშაობის პარაქტიკა.
- მუნიციციპალიტეტი არ ახორციელებს განხორციელებულ;ი პროექტების კოორდინაციას.
- მუნიციპალური მოსაკრებლების და საფასურის ამოღების დონე დაბალია.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მომხმარებელთა დიდ ბაზრებთან და კომუნიკაციის საშუალებებთან სიახლოვე • საქართველოში ცნობილი კურორტები და დასახლებები საკურორტო ადგილის სტატუსით. • სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლები. • სტაბილური რაოდენობის ურბანული მოსახლეობა ბოლო წლების განმავლობაში. • მუნიციპალიტეტის მონაწილეობა სხვადასხვა განვითარების პარტნიორების პროექტებში. • ახლად რეგისტრირებული და მოქმედი ბიზნესების მზარდი რაოდენობა 1000 კაცზე. • კერძო უცხოური საკუთრებაში არსებული სუბიექტების რაოდენობის ზრდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. • ეროვნულ დონეზე ცნობადი სოფლის მეურნეების პროდუქცია და პროდუქტები. • ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები) წარმოების შესაძლებლობა. • მრავალფეროვანი ტურისტული სანახაობები • მდიდარი ბიომრავალფეროვნება • ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის • მოქმედი ,,ინოვაციების ცენტრი" თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლისთვის • სასკოლო მწაობის პროგრამის მოქმედება ბაღებში • ახალგაზრების მიერ მცირე გრანტები მიღების გამოცდილება • სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდები • ოლიმპიური ბაზისა და ახალი სტადიონის არსებობა მუნიციპალიტეტში • ჯანდაცვის პროგრამებით მოსახლეობის დაფარვის მაღალი პროცენტი • კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ჯანდაცვის პროგრამების განახლებაზე • სოფლის ამბულატორიებში პირველადი ჯანდაცვის სრულყოფილი სერვისის მიღების შესაძლებლობა ზოგიერთ დასახლებაში. • მოწესრიგებული კომუნალური ინფრასტუქტურა (მყარი ნარჩენების მართვა, კანალიზაცია, წყალმომარაგება, გარეგანათება, გაზმომარაგება, ელმომარაგება) ურბანულ დასახლებებში • რეაბილიტირებული გზის საფარი ღუშეთის ისტორიულ ცენტრში.	• დასახლებების დიდი რაოდენობა მცირე რაოდენობის მოსახლით • საქართველოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფლების დიდი რაოდენობა • არაენერგოეფექტური და არაკომფორტული ინდივიდუალური და მრავალბინიანი სახლები. • რეგიონთან და ქვეყანასთან შედარებით მაღალი მედიანური ასაკი. • დაბალი ეფექტიანობის ბიზნეს სექტორი • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალი პროდუქტიულობა, დიგიტალიზაციის, გადამუშავების, ტექნიკის და მარკეტინგის დაბალი დონე. • ვეტერინარული და ზოოტექნიკური მომსახურების დაბალი დონე • სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწების დანაწევრება მცირე ზომის საკადასტრო ერთეულებად. • გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილის ბუფერულ არეალში მოხვედრა, დანაღმულობა და ა.შ. • გაუმართავი საირიგაციო სისტემა. • ხარისხიანი სარგავ-სათესი მასალების დეფიციტი. • არადამაკმაყოფილებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა. • არასათანადო რაოდენობის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. მისი არ არსებობა ინტერნეტში სხვადასხვა ენოვანი ვიზიტორებისთვის. • ტურისტული პროდუქტების ნაკლებობა. • არასაკმარისი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა და მისი მოუწესრიგებლობა სოფლის კატეგორიის დასახლებებში, მ.შ. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში. • მუნიციპალურ სერვისებთან წვდომის დაბალი დონე. • მუნიციპალური განათლების, კულტურის და სპორტის ობიექტებით მოსარგებლეთა დაბალი რაოდენობა. • სამშობიარო და რეანიმაციული განყოფილებების არარსებობა არასათანადო სამედიცინო ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის და თანამედროვე აღჭურვილობის დეფიციტი • სსსმ პირებისათვის არაადაპტირებული გარემო და შეასაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების ნაკლებობა • პროფორიენტაციაში დახმარების მიუწვდომლობა. • ბუნებრივი კატასტროფების მართვის სისტემის არ არსებობა მუნიციპალიტეტის დონეზე; • მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმების განხორციელება შეფასების და პროექტების კოორდინაციის ინსტიტუციონალიზაციის ნაკლები გამოცდილება და პრაქტიკის დაბალი დონე.

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• თბილისთან სიახლოვის გამო დუშეთის უძრავი ქონების შეძენით/დაქირავებით დაინტერესების ზრდა. • ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა • სახელმწიფოს მიერ საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გაზრდა. • მეწარმეობისა და ფერმერთა მხარამჭერი სახელმწიფო პროგრამები • ვიზიტორთა დაინტერესების ზრდა მაღალმთიანი ტერიტორიებით. • სახელმწიფოს მიერ წყლით მომარაგებისა და წყალარინების, სარწყავი ქსელების რეაბილიტაცია-გაფართოება. • „ჯეოჰოსპიტალსი“-ს მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში ახალი ერთეულების გახსნა.	• მოსახლეობის მიგრაცია. • ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკი. • ცხოველებისა და მცენარეების დაავადებების გავრცელება. • იოდდეფიციტის ენდემიური კერის არსებობა. • მეზობელი მუნიციპალიტეტების მიერ თბილისთან სიახლოვის და ტურისტული სანახაობების რესურსის უკეთესად გამოყენება. • სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტბში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების პროექტებში არ მოხვედრა.

ხედვა, მიზნები და ამოცანები

ხედვა

საცხოვრებლად მიმზიდველი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა ეკოლოგიური გარემოთი და უსაფრთხოებით, რაციონალურად იყენებს დედაქალაქთან სტრატეგიულ სიახლოვეს, მის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილი მთელი წლის განმავლობაში, სადაც ტურიზმი ხელს უწყობს მასთან დაკავშირებული სექტორების განვითარებას და ამით ზრდის მუნიციპალიტეტის სოციალუკ-ეკონომიკურ მდგრადობას

მიზანი 1: დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერითა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის გზით.

ამოცანა 1.1: საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება/მხარდაჭერა

ამოცანა 1.2: ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია მოქმედ მეწარმეთა ან/და სტარტაპერთა მხარდაჭერის გზით

ამოცანა 1.3: მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა 1.4: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, მუნიციპალური გზების მოწყობა და არსებულის ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა 1.5: სასმელი წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით

ამოცანა 1.6: ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების პროექტების მხარდაჭერის გზით

ამოცანა 1.7: მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით

ამოცანა 1.8: დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რაოდენობის ზრდა და არსებულის კეთილმოწყობა

ამოცანა 1.9: ადგილობრივ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების/პრევენციის მექანიზმების შექმნა და შესაბამისი ინფასტრუქტურის მოწყობა

მიზანი 2: დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოსახლეობაში, ტურისტებში, ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ცნობადობის გაზრდა საინფორმაციო და ინტერაქტიული ღონისძიებების განხორციელების გზით.

ამოცანა 2.1: დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის პოპულარიზაციის აქტივობების განხორციელება და მხარდაჭერა

ამოცანა 2.2: დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათთან მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა

მიზანი 3: მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ნარჩენების მართვის, გამწვანების აქტივობებებისა და მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის გზით

ამოცანა 3.1: ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ამოცანა 3.2: მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებების მიზნით მცენარეთა მოვლა, სკვერებისა და პარკების ექსპლუატაცია

ამოცანა 3.3: მიუსაფარი ცხოველების მართვა ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით

მიზანი 4: ადგილობრივ დონეზე განათლების, სპორტისა და კულტურული აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, კეთილდღეობისა და ჩართულობის მიზნით

ამოცანა 4.1: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის ზრდა და არსებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) გაუმჯობესება

ამოცანა 4.2: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, სპორტის სხვადასხვა სახეობებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 4.3: კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებითა და კულტურული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გზით

მიზანი 5: თვითმმართველობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისებისა და მმართველოს გაუმჯობესების გზით

ამოცანა 5.1: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა

ამოცანა 5.2: ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერებით მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა

ლოგიკური ჩარჩო

ხედვა						
სექტორული პრიორიტეტი						
მიზანი 1:						
გავლენის ინდიკატორი 1.1:						
ამოცანა 1.1:						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:						
რისკი:						
ამოცანა 1.2:						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:						
რისკი:						
ამოცანა 1.3:						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:						

		მაჩვენებელი	**100%**	**100%**	**100%**	
რისკი:	მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესების დარღვევით შემოტანილი განცხადებები					
ამოცანა 1.4:	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, მუნიციპალური გზების მოწყობა და არსებულის ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის გარე განათების სისტემის მოწყობა/განვითარება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:	მყარსაფარიანი მუნიციპალური გზების წილი მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**53%**	**65%**	**75%**	
რისკი:	ბუნებრივი კატასტროფები, ფინანსების სიმცირე, პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ დადგენილი ვადებისა და სხვა კრიტერიუმების დარღვევა					
ამოცანა 1.5:	სასმელი წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:	მოსახლეობის რაოდენობა ვისაც გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**40%**	**55%**	**70%**	
რისკი:	ბუნებრივი კატასტროფები, ფინანსების სიმცირე, პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ დადგენილი ვადებისა და სხვა კრიტერიუმების დარღვევა					
ამოცანა 1.6:	ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების პროექტების მხარდაჭერის გზით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1:	დასახლებათა რაოდენობა, ვისაც ელექტროენერგია მიეწოდება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**237**	**260**	**291**	
რისკი:	ფინანსების სიმცირე					
ამოცანა 1.7:	მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი	რეაბილიტირებული და კეთილმოწყობ		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	

1.7.1:	ილი სპორტული მოედნებისა და ბაზების რაოდენობა	**წელი**	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**57**	**62**	**70**	
რისკი:	ფინანსების სიმცირე					
ამოცანა 1.8:	დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რაოდენობის ზრდა და არსებულის კეთილმოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.1:	რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**7**	**12**	**17**	
რისკი:	ფინანსების სიმცირე					
ამოცანა 1.9:	ადგილობრივ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების/პრევენციის მექანიზმების შექმნა და შესაბამისი ინფასტრუქტურის მოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.9.1:	მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**75**	**85**	**95**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები					
მიზანი 2:	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოსახლეობაში, ტურისტებში, ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ცნობადობის გაზრდა საინფორმაციო და ინტერაქტიული ღონისძიებების განხორციელების გზით.		**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**			*8, 9, 11*
გავლენის ინდიკატორი 2.1:	მიზნის კომპლექსურობიდან გამომდინარე გავლენის ინდიკატორს წარმოადგენს ამოცანების ინდიკატორების შესრულება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი				
ამოცანა 2.1:	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის პოპულარიზაციის აქტივობების განხორციელება და მხარდაჭერა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:	წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*

		მაჩვენებელი	**10**	**15**	**20**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები					
ამოცანა 2.2:	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათთან მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:	განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**10**	**30**	**50**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები					
მიზანი 3:	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ნარჩენების მართვის, გამწვანების აქტივობებისა და მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის გზით			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**		*6, 13, 15*
გავლენის ინდიკატორი 3.1:	მიზნის კომპლექსურობიდან გამომდინარე გავლენის ინდიკატორს წარმოადგენს ამოცანების ინდიკატორების შესრულება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი				
ამოცანა 3.1:	ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:	მოსახლეობის რაოდენობა, ვინც იღებს შესაბამის სერვისს		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**70%**	**75%**	**80%**	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	ურნების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**1001**	**1500**	**2000**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები, კუსტარული ნაგავსაყრელები					
ამოცანა 3.2:	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებების მიზნით მცენარეთა მოვლა, სკვერებისა და პარკების ექსპლუატაცია					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	დარგული ნარგავების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**2500**	**3500**	**4500**	

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2:	სკვერების და პარკების კვადრატულობა, რასაც უელის მუნიციპალიტეტი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**49704**	**54704**	**59500**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები, მოსახლეობის ან/და პირუტყვის მხრიდან დაზიანება					
ამოცანა 3.3:	მიუსაფარი ცხოველების მართვა ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:	ოპერირებული ცხოველების რაოდენობა (სტერილიზაცია, კასტრაცია, ვაქცინაცია)		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2022**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**100**	**500**	**1000**	
რისკი:	ფინანსების სიმცირე, პოპულაციის უკონტროლო ზრდა მოსახლეობის მიერ შინაური ცხოველების მიტოვების შედეგად					
მიზანი 4:	ადგილობრივ დონეზე განათლების, სპორტისა და კულტურული აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, კეთილდღეობისა და ჩართულობის მიზნით			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**		*5, 9*
გავლენის ინდიკატორი 4.1:	მიზნის კომპლექსურობიდან გამომდინარე გავლენის ინდიკატორს წარმოადგენს ამოცანების ინდიკატორების		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი				
ამოცანა 4.1:	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის ზრდა და არსებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:	ახალი ბაღების ან/და რეაბილიტირებული/აღაპტირებული ბაღების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**5**	**18**	**18**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები					
ამოცანა 4.2:	ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, სპორტის სხვადასხვა სახეობებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:	სპორტული წრეების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**16**	**20**	**24**	

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.2:	კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები და ობიექტები		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**55**	**65**	**75**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები					
ამოცანა 4.3:	კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებითა და კულტურული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მოწყობის გზით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:	კულტურის წრეების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**7**	**10**	**15**	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.2:	კეთილმოწყობილი კულტურის ობიექტები (სამუსიკო, კულტურის სახლი)		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ანგარიში*
		მაჩვენებელი	**4**	**5**	**6**	
რისკი:	შეზღუდული ფინანსები და რესურსები					
მიზანი 5:	თვითმმართველობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისებისა და მმართველოს გაუმჯობესების გზით			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**		*16*
გავლენის ინდიკატორი 5.1:	აღგილობრივი თვითთმმართველობის იდნექსი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*Lsgindex.org*
		მაჩვენებელი				
ამოცანა 5.1:	გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:	თვითმმართველობის ინდექსის მე-3 ბლოკი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*Lsgindex.org*
		მაჩვენებელი				
რისკი:	საჯარო მმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის დაბალი ინტერესი					
ამოცანა 5.2:	ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერებით მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1:	თვითმმართველობის ინდექსის მე-2 ბლოკი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო** (Sources of Verification):
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	**2023**	**2025**	**2027**	*Lsgindex.org*

		მაჩვენებელი				
რისკი:	ელექტრონული სერვისებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე					

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

განხორციელება

სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელება იწყება 2024 წლის 1 იანვირიდან და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერი. სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე. მერიის შესაბამისი სამსახურები პასუხისმგებლები არიან ცალკეული (ცხრილი 21) მიზნების და მათი ამოცანების, გავლენის ინდიკატორების მიღწევაზე. აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციაზე პასუხსიმგებელია მერის პირველი მოადგილე. სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებლი სამსახურის (უწყების) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა სამსახურთან (უწყებასთან) შერწყმის შემთხვევაში სტრატეგიის შესაბამის მიზნების, მათი ამოცანების, გავლენის ინდიკატორების მიღწევაზე პასუხისმგებელი იქნება მისი უფლებამონაცვლე სამსახური (უწყება).

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო თანხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებაზე და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის სტრატეგისთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. სტრატეგიის სამოქმედო გემით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო შესყიდვების დაგეგმვასა და შესყიდვების დროულად განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

ცხრილი 21. სტრატეგიის მიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი სამსახურები

მიზანი	მიზნის მისაღწევად საჭირო თანხის წილი სტრატეგიის განსახორციელებელ ბიუჯეტში, %	პასუხისმგებელი სამსახური
მიზანი 1: დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერითა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის გზით.		ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
მიზანი 2: დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოსახლეობაში, ტურისტებში, ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ცნობადობის გაზრდა საინფორმაციო და ინტერაქტიული ღონისძიებების განხორციელების გზით.		ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური

მიზანი 3: მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ნარჩენების მართვის, გამწვანების აქტივობებებისა და მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის გზით		სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
მიზანი 4: ადგილობრივ დონეზე განათლების, სპორტისა და კულტურული აქტივობების მხარდაჭერის გაძლიერება საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, კეთილდღეობისა და ჩართულობის მიზნით		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
მიზანი 5: თვითმმართველობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისებისა და მმართველოს გაუმჯობესების გზით		ადმინისტრაციული სამსახური

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. ის მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

ორწლიანი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის ნაწილი დახარჯული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, გეგმის ფარგლებში ასევე გამოყენებული იქნება რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან. ორწლიანი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხის ნაწილის მობილიზებისთვის გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების ყველა შესაძლო წყარო, მათ შორის - ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამონაწილეობა.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებული გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტიანად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შუალედური შეფასების შედეგად, ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთებით, შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა.

სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და დაამტკიცებს სტრატეგიაში ან/და სამოქმედო გეგმაში შეტანილ ცვლილებებს.

დაინტერესებული მხარეები, სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული უწყებები და ორგანიზაციები და მეზობელი მუნიციპალიტეტები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებენ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდების, სოციალური ქსელების და სხვადასხვა მედიის მეშვეობით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება სტრატეგიის დოკუმენტით წარმოდგენილი ხედვისა და აქტივობების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან – სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტიან კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის, რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი, მმართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდროდ იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა – სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი არის ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი – ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით. გარდა სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობებისა სამუშაო ჯგუფებში ასევე დასახელდა ისეთი განსახორციელებელი საკითხები, რომლებიც მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული (ან სრულად ვერ იფარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან), თუმცა მიიჩნევა პრიორიტეტულ საკითხებად. მაგალითად:

- დუშეთის მუნიპალიტეტში ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის განხორციელება
- სავაჭრო პავილიონის მოწყობა – რეაბილიტაცია
- შინ მოვლის პროგრამის განხორციელება
- მგზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ხიდების რეაბილიტაცია
- სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/განვითარება

მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად, ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისთვის, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (მერის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირი) ყოველი სამი თვის განმავლობაში აგროვებს ინფორმაციას აქტივობების განხორციელების და მისი შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის მიღწევის შესახებ მიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, შესაბამის ინფორმაციას იღებენ თითეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებისგან. მომზადებული ანგარიში წარედგინება მერს. ყოველი ექვსი თვის შემდეგ, იმავე პრინციპით ინფორმაცია გროვდება აქტივობების განხორციელების და აქტივობის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის მიღწევის შესახებ და ანგარიში წარედგინება მერს. ყოველი წლის ბოლოს ანგარიშების ანალოგიურად მომზადებული მონიტორინგის წლიური ანგარიში წარედგინება მერს და საკრებულოს.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა – ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული – ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული – ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური – ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების დაწყებიდან მეორე წლის ბოლოს, სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირი მოამზადებს ინფორმაციას აქტივობების და ამოცანის განხორციელების, აქტივობის შედეგის და ამოცანის შედეგების ინდიკატორის მაჩვენებლების მიღწევის შედეგების შესახებ და წარუდგენს სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების შეფასების ჯგუფს. შეფასების ჯგუფი მოაზადებს სტრატეგიის განხორციელების შესრულების შუალედურ ანგარიშს და შუალედურ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო შეფასება, შეფასების ჯგუფის მიერ, მზადდება სტრატეგიის ამოქმედებიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით შესაძლებელია, სრულად განახლდეს მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა, რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტა.

მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სტრატეგიის დოკუმენტის შემფასებელი ჯგუფი შედგება შემდეგი ორგანიზაციების და სტრუქტურების წარმომადგენლოებისა და პირებისგან:

- დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
- ა(ა)იპ ,,არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის – არაგვის თემთა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის" აღმასრულებელი დირექტორი;
- მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი;
- მოწვეული სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში;